# სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის
# 2024 წლის  საქმიანობის ანგარიში

# სარჩევი

I. იურიდიული დახმარების სამსახური და მისი მანდატი.......................................................6

1.1 იურიდიული დახმარების სამსახური....................................................................................... 6

1.2. სამსახურის მანდატი 2024 წელს............................................................................................. 6

1.2.1. სამსახურის მანდატი სისხლის სამართალში .................................................................... 7

1.2.2. სამსახურის მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში ............................ 8

II. იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა............................................................14

2.2. იურიდიული დახმარების საბჭო ........................................................................................ 16

2.3. იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის სტრუქტურა............................................ 17

3.2. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები ................................... 17

- იურიდიული დახმარების 18 ბიურო ................................................................................ 17
- იურიდიული დახმარების 42 საკონსულტაციო ცენტრი.................................................... 18
- მობილური საკონსულტაციო ცენტრი................................................................................ 19

2.4. საზოგადოებრივი ადვოკატები............................................................................................ 20

2.5. საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია ................................................................ 21

3. სამსახურის საშტატო ნუსხა, კონკურსები ............................................................................ 23

4. სტაჟირება........................................................................................................................... 25

III. იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობა ............................................25

3.1. ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა .................................................................... 25

3.2. უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელი(პორტალი)................................. 26

3.3. გასვლითი საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები................................................ 26

3.4. ქალთა მიართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი გლობალური კამპანია................................................................................................................................. 28

3.5. ეთნიკური უმცირესობებისათვის უფასო იურიდიული სახლემიფო სერვისების ხელმისაწვდომობა............................................................................................................... 29

3.6. იცოდე შენი უფლება 18 წლამდე ........................................................................................ 30

3.7. ანტინარკოტიკული კამპანია................................................................................................ 32

IV. სამთავრობო ვალდებულებები...........................................................................................34

4.1. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა........................ 34

4.2. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების გადამზადებას ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საკითხებში..... 35

4.3. უფასო საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება საქართველოს მასშტაბით, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის, მათ შორის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ........ 35

4.4. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა ........ 36

4.5. აქტივობები ........ 37

**IV. პროექტი „პარალეგალი“ ........ 41**

4.1. პროექტის მიზანი ........ 41

4.2. პარალეგალთა გადამზადება ........ 42

4.3. გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები პარალეგალთა ჩართულობით ........ 43

4.4. იმიტირებული სასამართლო პროცესები პარალეგალთა მონაწილეობით ........ 45

4.6. პროექტ „პარალეგალის ფარგლებში განხორციელებული სხვა ღონისძებები ........ 46

**V. ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველო ........ 47**

5.1. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები ........ 47

5.2. შეხვედრები არასრულწლოვნებთან ........ 50

**VI. სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ... 51**

- თანამშრომელთა მოტივირება ........ 51

**VII. სასწავლო ცენტრის საქმიანობა ........ 54**

7.1. სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები ........ 54

7.2. იურიდიული კლინიკა ........ 58

7.3. სასწავლო ცენტრის პორტალი ........ 58

**VIII. სამსახურის სამართლებრივი აქტივობები ........ 59**

8.1. სამსახურის ანალიტიკური საქმიანობა ........ 60

**IX. იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობა ........ 71**

**X. სამსახურის ადმინისტრაციული საქმიანობა ........ 74**

8.2. სამსახურის ფინანსური ანგარიში ........ **Error! Bookmark not defined.**

8.4.. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ანაზღაურება ........ **Error! Bookmark not defined.**

**XI. სამსახურის ფინანსური ანგარიში ........ 76**

11.1. 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვები ........ 77

11.2. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ანაზღაურება ........ 78

**XII. იურიდიული დეპარტამენტის საქმიანობა ........ 78**

11.1. სასამართლოში მიმდინარე დავები ........ 79

11.2. დისციპლინური საქმეები, წინასწარი მოკვლევები ........ 81
XIII. 2024 წლის სტატისტიკური ინფორმაცია ........ 82
13.1. წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით ........ 82
13.2. წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა დარგების მიხედვით ........ 83
13.3. წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა ბიუროების მიხედვით ........ 83
13.4. წარმოებაში მიღებული სისხლის სამართლის საქმეები კატეგორიების მიხედვით. ........ 84
13.5. წარმოებაში მიღებული საქმეების ინიციატორების (მომმართველი სუბიექტების) მიხედვით:84
13.6. საქმის წარმოებაში მიღების საფუძვლის მიხედვით ........ 85
13.7. დასრულებული სისხლის სამართლოს საქმეებში საპროცესი შეთანხმებათა წილი ........ 85
13.8. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა ........ 86
13.9. სამოქალაქო სამართლის საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით ........ 86
13.10. ადმინისტრაციული სამართლის საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით ........ 86
13.11. ბიუროების მიერ წარმოაბაში მიღებული სამოქალაქო საქმეების რაოდენობა საკითხების მიხედვით ........ 86
13.12. ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა საკითხების მიხედვით ........ 87
13.14. „არასრულწლოვანთა მართლმსაკულების კოდექსით“ განსაზღვრული ბენეფიციარების დაცვის საქმეების რაოდენობა ........ 87
13.15. „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბენეფიციარების დაცვის საქმეებ ის რაოდენობა ........ 88
13.16. ბენეფიციარების რაოდენობა სერვისებისა და სქესის მიხედვით ........ 88
13.17. წარმატებით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა (სტადიების მიხედვით) ........ 88
13.18. გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა წლების მიხედვით ........ 90
13.19. წარმატებით დასრულებული საქმოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეების რაოდენობა (ინსტანციების მიხედვით) ........ 90
13.20. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული კონსულტაციების რაოდენობა ........ 91
13.20.1. კონსულტაციების სახეობა ........ 91
13.20.2. კონსულტაციების თემატიკა ........ 91
13.20.3. კონსულტაციის მიმღებთა სტატუსი ........ 92
13.21. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ კონსულტაციის გაწევისას შედგენილი დოკუმენტების რაოდენობა ........ 92
XIV. სამსახურის ცნობადობა ........ 93
14.1. სამსახურის ვებგვერდები ........ 93

14.2. მედიაში ინფორმაციის გაშუქება ........ 94
14.2. სოციალური ქსელი ........ 95
14.3. რადიოპროექტი „სამართლებრივი რჩევები“ ........ 97
14.4. ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“ ........ 99
XV. საქველმოქმედო საქმიანობა ........ 100
XVI. სამსახურის ოფისები/საკონტაქტო ინფორმაცია ........ 102

## დირექტორის მიმართვა



ცივილიზებული სამყაროს ერთ-ერთი მთავარი გამოხატულება არის ადამიანის უფლებების დაცვა და მოქალაქეების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულების სისტემაში შემავალ ინსტიტუციებზე, კონსტიტუციით გარანტირებულ -დაცვის უფლებაზე.

2024 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა უფასო სამართლებრივ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით - საქართველოს მაღალმთიან სოფლებში, სადაც მანამდე არასდროს უნახავთ ადვოკატი, პირველად ჩავიდა იურიდიული დახმარების სამსახურის "მობილური საკონსულტაციო ცენტრი".

მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის უფასო სამართლებრივი დახმარებით უზრუნველყოფა გარდამტეხ როლს თამაშობს მათი სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაშიც.

უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ადვოკატების მოტივაციის ასამაღლებლად.

არის მიღწევები და გამოწვევები, რომელიც დროდადრო ახალ-ახალი ჩნდება. უმნიშვნელოვანესია იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი, რომელიც პერიოდულად იზრდება და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მოწყვლადი მოსახლეობის სოციალური ყოფის გაუმჯობესების და თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროსთან ინტეგრაციის საქმეში. სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული სოციალური ტურბულენტობის პირობებში გრძელდება აქტიური მუშაობა აღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ.

**დავით სიმონია**

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი**

# I. იურიდიული დახმარების სამსახური და მისი მანდატი

## 1.1 იურიდიული დახმარების სამსახური

იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას საქართველოს კონსტიტუციის, „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სამსახურის დებულების საფუძველზე.

იურიდიული დახმარების სამსახური არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 1.2. სამსახურის მანდატი 2024 წელს

იურიდიული დახმარების სამსახური გასცემს უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და სამსახურის მანდატის ფარგლებში იურიდიულ დახმარებას.

იურიდიული კონსულტაცია – ყველასთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი რჩევა ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე.

იურიდიული დახმარება – სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა, წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს ხარჯზე.

იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირი / გადახდისუუნარო პირი

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, გადახდისუუნარო პირი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილების თანახმად: გადახდისუუნაროდ ითვლება სოციალურად დაუცველი პირი, რომლის სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000 ან ნაკლებს;

გარდა ამისა, გადახდისუუნაროდ, ასევე, ითვლება 100 000 ან ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, რომელიც მიეკუთვნება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს:

- მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წელს მიუღწეველი ბავშვი;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

- 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;
- რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

### 1.2.1. სამსახურის მანდატი სისხლის სამართალში

იურიდიული დახმარების სამსახური სისხლის სამართლის საქმეებში წარმოადგენს გადახდისუუნარო ბრალდებულს, თუ ის მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას. გარდა ამისა, წარმომადგენლობა სისხლის სამართლის საქმეებში უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ა) თუ არასრულწლოვანია;
ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
გ) თუ აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
ე) თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
ზ) თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
თ) თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
ი) თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
კ) თუ არაიდენტიფიცირებული პირია;
კ[1]) თუ განიხილება მისი გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი;
ლ) ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდადებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც, სასამართლოს შეფასებით, აჭიანურებს საქმის განხილვას; თუ ბრალდებულის ან მსჯავრდადებულის ადვოკატი საპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, სასამართლო სხდომას გადადებს არაუმეტეს 10 დღით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდადებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით.

პენიტენციური კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს, უფლება აქვს: ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, მათ შორის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ამას თავად მოითხოვს დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში. თავის მხრივ 72-ე მუხლი მოიცავს სახდელის სახეებს, კერძოდ ,,ვ'' ქვეპუნქტი ეხება საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანას 3 თვემდე ვადით, ხოლო ,,ზ'' ქვეპუნქტი სამარტოო საკანში მოთავსებას 14 დღემდე ვადით.

ბრალდებული, მსჯავრდადებული (18 დან 21 წლამდე პირი)

18 წლიდან 21 წლამდე ბრალდებული ან მსჯავრდადებული სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით (მოთხოვნის შემთხვევაში);

### 1.2.2. სამსახურის მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში

სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს და იცავს შემდეგ პირებს:

**გადახდისუუნარო პირი**

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაწილში იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია (ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარმომადგენლობა), საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით;

ბრალდებული/მსჯავრდადებული

პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოებისას ბრალდებული/მსჯავრდადებული უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუუნარობის შემთხვევაში;

**სამართალდამრღვევი/სავარაუდო სამართალდამრღვევი**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წარმოებისას სავარაუდო სამართალდამრღვევი/სამართალდამრღვევი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუუნარობის შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის სახით

გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად;

**პაციენტი/მსჯავრდადებული**

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებისას პაციენტი/ბრალდებული უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად;

**პაციენტი**

პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის სასამართლოში განხილვისას პირი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად;

**არასრულწლოვანთა დაცვა**

ნებისმიერი არასრულწლოვანი სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარებით, მიუხედავად გადახდისუუნარობის ფაქტისა, როგორც სისხლის ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებით (სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოში).

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი**

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციის გაწევასა და იურიდიულ დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, თუ საქმეში არ მონაწილეობს მათ მიერ აყვანილი ადვოკატი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი სარგებლობს უფასო იურიდიული კონსულტაციით, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენით საჭიროების შემთხვევაში, ასევე, საადვოკატო მომსახურებით სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, წარმომადგენლობით ადმინისტრაციული წარმოებისას.

**მხარდაჭერის მიმღებ პირთა დაცვა**

იურიდიული დახმარების სამსახური საკუთარი უფლებების დასაცავად მხარდაჭერის მიმღებ პირებს სთავაზობს უფასო იურიდიულ კონსულტაციას, სამართლებრივი

დოკუმენტების შედგენას საჭიროების შემთხვევაში და წარმომადგენლობას სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით.

წარმომადგენლობა სასამართლოში სამოქალაქო საქმეებთან მიმართებით უზრუნველყოფილია, თუ პირისთვის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც უნდა განიხილოს სასამართლომ. ასევე, თუ მხარდაჭერის მიმღები პირი წარმოადგენს მხარეს სამოქალაქო საქმეზე.

წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ საქმეებზე უზრუნველყოფილია თუ მხარდაჭერის მიმღები პირი წარმოადგენს მხარეს ადმინისტრაციულ საქმეზე.

პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი მიუხედავად მისი გადახდისუუნარობისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობისა, ასევე, საქმის მნიშვნელობის და სირთულის მიუხედავად.

**თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა დაცვა**

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციას, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენასა და სასამართლოში წარმომადგენლობას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით.

აღნიშნული პირები სარგებლობენ, იურიდიული კონსულტაციით, იურიდიული დოკუმენტების შედგენითა და წარმომადგენლობით ადმინისტრაციულ სასამართლოში, სადაც განიხილება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული დავა.

დოკუმენტების შედგენა უზრუნველყოფილია მიუხედავად თავშესაფრის მაძიებლის /საერთაშორისო დაცვის მქონე პირის გადახდისუნარიანობის ფაქტისა, ხოლო სასამართლოში წარმომადგენლობა კი, მიუხედავად გადახდისუნარიანობისა და საქმის მნიშვნელობის და სირთულის ფაქტისა.

ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, თუ სასამართლო განიხილავს პირის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებულ დავას.

**იურიდიული დახმარება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის**

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მსხვერპლის მიმართ ეკონომიკური ძალადობა, როდესაც მსხვერპლს შეზღუდული აქვს წვდომა საერთო შემოსავალზე ან მოძალადე არ აძლევს საერთო მფლობელობაში არსებული ქონების განკარგვის შესაძლებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების მიღება არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სოციალურად დაუცველი

ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ფაქტზე და მსხვერპლს, სხვა გარემოებებზე დაყრდნობითაც შეეძლოს საკუთარი გადახდისუუნარობის (მძიმე ფინანსური მდგომარეობის) დადასტურება.

იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, მიუხედავად მისი გადახდისუუნარობისა, თუ ეს საქმე ეხება უძრავ ნივთთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე და მეექვსე წიგნებიდან, „სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონიდან, „სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონიდან, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონიდან, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონიდან, „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონიდან, „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონიდან, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონიდან, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონიდან, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონიდან, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონიდან, საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს შრომის კოდექსი", აგრეთვე აღნიშნული კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე საკითხებს და აღნიშნული დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $11^1$ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულისა და $126^1$ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის დაზარალებული, რომელიც იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მიხედვით, მიიჩნევა გადახდისუუნაროდ, სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით), ხოლო დაზარალებული, რომელიც ამ კანონის მიხედვით არ მიიჩნევა გადახდისუუნაროდ, უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფილია, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით) და დასტურდება შემდეგი გარემოება:

ა) წინა 12 თვის განმავლობაში მისი, როგორც ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატებოდა 6 000 ლარს. ამავდროულად, საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებში მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე ცნობის გაცემის მომენტისთვის არსებული თანხის ოდენობა არ აღემატებოდა 500 ლარს, ხოლო ბოლო 90 დღის განმავლობაში ანგარიშზე არსებული თანხის ბრუნვა არ აღემატება 1500 ლარს. სხვადასხვა კომერციულ ბანკში ან ერთ ბანკში ერთზე მეტი ანგარიშის არსებობისას, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხის ოდენობის დადგენისას მხედველობაში მიიღება ამ ანგარიშებზე არსებული თანხის ჯამური ოდენობა;

ბ) პირს აქვს მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც დასტურდება იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრული შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე.

1. პირი მომართვამდე რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის N424 დადგენილების შესაბამისად ითვლებოდა გადახდისუუნაროდ და ენიჭებოდა სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, მაგრამ მომართვისას მისი ბოლო მონაცემი გადასულია არქივში;
2. თუ პირის ოჯახი არაა რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და წარმოდგენილი სარწმუნო დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დასკვნისათვის, რომ მისი ოჯახი იმყოფება ისეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ მიერ ადვოკატის დაქირავებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებას;

3. პირი დაავადებულია მძიმე ან განუკურნებელი დაავადებით, რომლის ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის №01-6/ნ ბრძანებით, ასევე, საქართველოს მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ შესაბამისი დადგენილებით და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

4. მარტოხელა მშობელი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

5. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი, ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მისი პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

6. ასაკით პენსიონერი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

7. პირი იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატი, ადვოკატის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

8. მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

9. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის" ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;
10. საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის ,,კათარზისის'' (სათნოების სახლი) ბენეფიციარი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

11. პირი, რომელსაც ოჯახში კონფლიქტის ან ერთობლივ შემოსავალზე შეზღუდული წვდომის არსებობის შემთხვევაში ესაჭიროება იურიდიული დახმარება. (28.12.2021 N97);

12. პირი, რომელსაც მიმართული აქვს ან აპირებს მიმართვას შესაბამისი ორგანოსათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციასთან და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასებასთან (გადამოწმებასთან) დაკავშირებით;

13. შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მაძიებელი პირი რომელსაც მიმართული აქვს ან აპირებს მიმართვას შესაბამისი ორგანოსათვის;

14. მამხილებელი პირი მხილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ან მის ახლო ნათესავები მხილებიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის საკითხებზე;

15. მოქალაქეობის არმქონე პირი;

16. საკითხის სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე როცა სახეზეა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების არსებითი ხელყოფა ან ხელყოფის საფრთხე;

17. ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში და სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოში საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით.

# II. იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა

## 2.1. იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი



**დავით სიმონია**

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი -



ნინო მელაძე

დირექტორის პირველი მოადგილე



**მიხეილ ხურციძე**

დირექტორის მოადგილე



**ლევან გევნეტაძე**

დირექტორის მოადგილე

## 2.2. იურიდიული დახმარების საბჭო




- თეა ჭეიშვილი - იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- ირაკლი გვარამაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. (ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებისგან შერჩეული წევრი);
- პავლე აბაიაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- თორნიკე ბაქრაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- ელენე ღუდუშაური - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- გელა სიორდია - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;

## 2.3. იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის სტრუქტურა

### 1. აპარატი

**1. იურიდიული დეპარტამენტი:**

1.1. იურიდიულ საქმეთა და ადმინისტრაციული წარმოების სამმართველო;

1.2. სასამართლოში და სხვა ორგანოებში წარმომადგენლობის სამმართველო.

**2. ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.**

**3. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი:**

3.1. სისხლის სამართლის საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველო;

3.2. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველო;

3.3. სპეციალიზებულ საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველო.

**4. ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო;**
**5. საქმისწარმოების სამმართველო;**
**6. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო;**
**7. ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამმართველო;**
**8. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;**
**9. ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველო;**
**10. ელექტრონული სისტემების მართვისა და ინფორმაციის დამუშავების სამმართველო;**
**11. სასწავლო ცენტრი;**
12. **სამდივნო.**

### 3.2. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები

- **იურიდიული დახმარების 18 ბიურო**

1. თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო;
2. სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო;
3. მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
4. თელავის იურიდიული დახმარების ბიურო;
5. სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო;
6. რუსთვის იურიდიული დახმარების ბიურო;
7. გორის იურიდიული დახმარების ბიურო;
8. ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო;
9. ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო;
10. ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო;

11. ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო;
12. ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო;
13. ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო;
14. ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
15. გურჯაანის იურიდიული დახმარების ბიურო;
16. ბოლნისის იურიდიული დახმარების ბიურო;
17. აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო;
18. დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო.

- **იურიდიული დახმარების 42 საკონსულტაციო ცენტრი**

1. ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი;
2. მესტიის საკონსულტაციო ცენტრი;
3. საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი;
4. ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი;
5. წალკის საკონსულტაციო ცენტრი;
6. მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი;
7. დმანისის საკონსულტაციო ცენტრი;
8. დუისის საკონსულტაციო ცენტრი;
9. დუშეთის საკონსულტაციო ცენტრი;
10. ყვარლის საკონსულტაციო ცენტრი;
11. ლაგოდეხის საკონსულტაციო ცენტრი;
12. შუახევის საკონსულტაციო ცენტრი;
13. ხულოს საკონსულტაციო ცენტრი;
14. ქობულეთის საკონსულტაციო ცენტრი;
15. წალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრი;
16. აბაშის საკონსულტაციო ცენტრი;
17. ჩხოროწყუს საკონსულ.ტაციო ცენტრი;
18. სენაკის საკონსულტაციო ცენტრი;
19. მარტვილის საკონსულტაციო ცენტრი;
20. ხობის საკონსულტაციო ცენტრი;
21. ბაღდათის საკონსულტაციო ცენტრი;
22. წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი;
23. ჭიათურის საკონსულტაციო ცენტრი;
24. ქედის საკონსულტაციო ცენტრი;

25. ცაგერის საკონსულტაციო ცენტრი;
26. ლენტეხის საკონსულტაციო ცენტრი;
27. ონის საკონსულტაციო ცენტრი;
28. ხაშურის საკონსულტაციო ცენტრი;
29. ახმეტის საკონსულტაციო ცენტრი;
30. დედოფლისწყაროს საკონსულტაციო ცენტრი;
31. ხარაგაულის საკონსულტაციო ცენტრი;
32. ტყიბულის საკონსულტაციო ცენტრი;
33. სამტრედიის საკონსულტაციო ცენტრი;
34. ხონის საკონსულტაციო ცენტრი;
35. ვანის საკონსულტაციო ცენტრი;
36. ლანჩხუთის საკონსულტაციო ცენტრი;
37. ადიგენის საკონსულტაციო ცენტრი;
38. თეთრიწყაროს საკონსულტაციო ცენტრი;
39. რუხის საკონსულტაციო ცენტრი;
40. ქარელის საკონსულტაციო ცენტრი;
41. გარდაბნის საკონსულტაციო ცენტრი;
42. თიანეთის საკონსულტაციო ცენტრი;

- **2026 წლამდე იგეგმება შემდეგი საკონსულტაციო ცენტრების გახსნა:**

43. ასპინძის საკონსულტაციო ცენტრი;
44. ნინოწმინდის საკონსულტაციო ცენტრი;
45. ჩოხატაურის საკონსულტაციო ცენტრი;
46. ბორჯომის საკონსულტაციო ცენტრი;
47. საგარეჯოს საკონსულტაციო ცენტრი;
48. კასპის საკონსულტაციო ცენტრი;
49. ყაზბეგის საკონსულტაციო ცენტრი;

- **მობილური საკონსულტაციო ცენტრი**

მობილური საკონსულტაციო ცენტრი არის შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სპეციალური მიკროავტობუსი, სადაც შესაძლებელია ინდივიდუალური სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა კონფიდენციალურობის დაცვით, საჭირო შემთხვევაში მომზადდება სამართლებრივი დოკუმენტები. ცენტრი გასვლით ღონისძიებებს

ახორციელებს უმეტესად მაღალმთიან ან კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებს, სადაც იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები მოშორებით მდებარეობს.

## 2.4. საზოგადოებრივი ადვოკატები

| იურიდიული დახმარების ბიურო | საზოგადოებრივი ადვოკატები | ბიუროს უფროსი |
|---|---|---|
| თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო | 38 | 1 |
| სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო | 21 | 1 |
| მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო | 7 | 1 |
| გორის იურიდიული დახმარების ბიურო | 7 | 1 |
| რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო | 15 | 1 |
| თელავის იურიდიული დახმარების ბიურო | 7 | 1 |
| სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო | 4 | 1 |
| ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო | 15 | 1 |
| ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო | 7 | 1 |
| ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო | 8 | 1 |
| ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო | 6 | 1 |
| ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო | 13 | 1 |
| ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო | 7 | 1 |
| ოზურგეთის იურიდიული დახმარების | 6 | 1 |

| | | |
|---|---|---|
| ბიურო | | |
| აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო | 2 | 1 |
| დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო | 2 | 1 |

## 2.5. საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია

| იურიდიული დახმარების ბიურო | სისხლის სამართლის სპეციალიზაცია | სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია | არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება | ბავშვის უფლებათა კოდექსი |
|---|---|---|---|---|
| თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო | 35 | 19 | 30 | 18 |
| სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო | 14 | 11 | 14 | 14 |
| მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო | 6 | 6 | 6 | 6 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გორის იურიდიული დახმარების ბიურო | 7 | 7 | 5 | 2 |
| რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო | 13 | 10 | 12 | 6 |
| თელავის იურიდიული დახმარების ბიურო | 6 | 7 | 6 | 5 |
| სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო | 4 | 2 | 4 | 2 |
| ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო | 14 | 8 | 12 | 7 |
| ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო | 5 | 6 | 5 | 2 |
| ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო | 8 | 6 | 7 | 2 |
| ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო | 6 | 3 | 6 | 4 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო | 13 | 6 | 10 | 5 |
| ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო | 5 | 5 | 2 | 5 |
| ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო | 5 | 4 | 4 | 2 |
| აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო | 2 | 1 | 2 | 2 |
| დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო | 2 | 1 | 1 | 0 |

## 3. სამსახურის საშტატო ნუსხა, კონკურსები

2024 წლის დეკემბრის მონაცემებით, დასაქმებულია 359 თანამშრომელი.

2024 წელს, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მიერ გამოცხადებულ იქნა 24 კონკურსი.

სამსახურის აპარატში, იურიდიული დახმარების ბიუროებში და საკონსულტაციო ცენტრებში გამოცხადებული კონკურსის შედეგად კანდიდატი შერჩეულ იქნა შემდეგ პოზიციაზე:

| **პოზიციის დასახელება** | **რაოდენობა** |
|---|---|
| სისხლის სამართლის საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტი | 1 |
| ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი | 1 |
| სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი | 1 |
| ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის იურისტ-ანალიტიკოსი | 1 |
| სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიუროს სპეციალისტი | 1 |
| ადვოკატი - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი პროექტის ,,გენდერული თანასწორობა საქართველოსთვის" ფარგლებში | 2 |
| სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი | 1 |
| რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი სისხლის სამართლის მიმართულებით (შტატგარეშე პოზიცია) | 1 |
| ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით (შტატგარეშე პოზიცია) | 1 |
| გორის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი სისხლის სამართლის მიმართულებით (შტატგარეშე პოზიცია) | 1 |
| რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი (მიმართულება -სისხლის სამართალი) | 1 |
| თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი (შტატგარეშე პოზიცია) | 1 |
| მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი (მიმართულება -სისხლის სამართალი) | 1 |

| | |
|---|---|
| ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი სისხლის სამართლის მიმართულებით (შტატგარეშე პოზიცია) | 1 |
| სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი სისხლის სამართლის მიმართულებით (შტატგარეშე პოზიცია) | 1 |
| დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი სისხლის სამართლის მიმართულებით (შტატგარეშე პოზიცია) | 1 |
| ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით | 1 |

4. სტაჟირება

სამსახურის აპარატში, იურიდიული დახმარების ბიუროებში და საკონსულტაციო ცენტრებში გამოცხადებულ იქნა სტაჟირების 4 კონკურსი.
კონკურსის შედეგად კანდიდატი შერჩეულ იქნა შემდეგ პოზიციაზე:

| პოზიციის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს სტაჟიორი | 1 |

## III. იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობა

### 3.1. ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა



უფასო სამართლებრივ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა **მობილურმა საკონსულტაციო ცენტრმა,** რომელმაც საანგარიშო წელს 62 შეხვედრა ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და პირადი სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია საქართველოს მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ შეხვედრები ჩატარდა გურიისა და სამეგრელოს მაღალმთიან სოფლებში,

რომლებსაც იურისტები პირველად ესტუმრნენ

აღსანიშნავია, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის „მობილური საკონსულტაციო ცენტრი", წარმოადგენს სპეციალურად აღჭურვილ მიკროავტობუსს და შესაძლებლობას იძლევა ვიზიტორებისთვის კონფიდენციალურობის დაცვით იქნას გაწეული კონსულტაცია. საჭიროების შემთხვევაში ცენტრში შესაძლებელია იურიდიული დოკუმენტების მომზადებაც. ცენტრი 2023 წლის ნოემბერში მოეწყო და აღიჭურვა გერმანიის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის UNDP Georgia "კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის" პროექტის ფარგლებში.

საკონსულტაციო ცენტრის მხარდაჭერით მნიშვნელოვნად უზრუნველყოფილია მოწყვლადი ჯგუფებისათვის იურიდიულ დახმარების მიწოდება, რაც სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების შექმნის საწინდარია

### 3.2. უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელი(პორტალი)

2024 წელს მუშაობა განაგრძო იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელმა (პორტალმა) www.freelaw.ge, რომელიც 2023 წელს საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით განახლდა. იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელი საქართველოში მოქმედ უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელ ორგანიზაციათა გაერთიანებაა, რომლის შემადგენლობაში შედის როგორც შესაბამისი უწყებები და საბიუჯეტო ორგანიზაციები, ისე არასამთავრობო სექტორისა და საუნივერსიტეტო კლინიკების წარმომადგენლები.

საერთო ჯამში იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელის წევრთა რაოდენობა 21-ია. პროექტის მიზანია გააუმჯობესოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის რეგიონებში და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, შშმ პირებისა და ქალებისთვის.

### 3.3. გასვლითი საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები

2024 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა 121 საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა, რომელსაც საერთო ჯამში დაესწრო 6000-მდე ადამიანი. შეხვედრები ჩატარდა შემდეგ ლოკაციებზე:

**ქალაქები:**

- თბილისი
- რუსთავი
- ქუთაისი
- ფოთი
- წალენჯიხა
- აბაშა

- ჯვარი
- მესტია
- სიღნაღი
- ოზურგეთი
- ზუგდიდი
- ჩხოროწყუ
- თელავი
- ბათუმი
- ჩოხატაური
- ხობი

სოფლები:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი:** დაბა ნასაკირალი, ნაგომარი, ძიმითი, ასკანა, მთისპირი, ბაილეთი, სალაური, ჯუმათი ლაითური, ნარუჯა, გურიანთა, ნატანები, მერია.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი:** ჩხაკაურა, ნაბეღლავი, კოხნარი, ბურნათი, წიფნაგორა, ზოტი (მაღალმთიანი).

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი:** დაბა ურეკი, შრომა, ჩოჩხათი, ნიგვზიანი, მამათი, აკეთი.

**ხობის მუნიციპალიტეტი:** ახალი ხიბულა, საჯიჯაო, ხამისკური, ხეთა, ნოჯიხევი, შუა ხორგა, ჭალადიდი, ახალსოფელი ქველონი, თორა, შავღელე, ქარიატა, ყულევი.

**სენაკის მუნიციპალიტეტი:** სოფლები: ეკი, ზანა, უშბათი, ფოცხო, ხორში, ზემო ჭალადიდი, გეჯეთი, ძველი სენაკი, ნოსირი, ლეძამძე.

**აბაშის მუნიციპალიტეტი**: სამიქაო-მაიდანი, ნორიო, სუჯუნა, ონტოფო, სეფიეთი, ტყვირი, ნასეკაო, ბოჟამი, კეთილარი.

**დუშეთის მუნიციპალიტეტი;**' ქარქუშაანი

**ქარელის მუნიციპალიტეტი:** აბანო, საციხური.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტი:** იოსმუღანლო, ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო, ქეშალო, დუზაგრამი, წიწმატიანი, პალდო, თულარი, კაზლარი.

**ბოლნისის მუნიციპალიტეტი:** ცურტავი, ნახიდური, დარბაზი, ძველი ქვეში.

**გარდაბნის მუნიციპალიტეტი:** კალინინო, ქესალო, მუღანლო, აკთაკლია, ყარათალა, ირგინჩაი, ომამლო.

**მარტვილის მუნიციპალიტეტი:** აბედათი, ნახუნაო, თამაკონი, კურზუ, ტალერი, სალხინო, ინჩხური, გაჭედილი, ბანძა.

**სიღნაღის მუნიციპალიტეტი:** ტიბაანი, ანაგა.

**ფოთის დევნილთა დასახლება**

**გორის მუნიციპალიტეტი**: ზემო ნიქოზი.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტი:** ვერტყვიჭალა.

**საჩხერის მუნიციპალიტეტი:** საირხე, არგვეთა, სარეკი.

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტი:** ნაკიფუ.

**მცხეთის მუნიციპალიტეტი:** ციხისძირი.

**შეხვედრის ფარგლებში მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:**

- უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა საქართველოში და დახმარების მიღების კრიტერიუმები
- იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები
- ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა, ეთიკის საკითხები
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები
- დამცავი და შემაკავებელი ორდერები
- ბავშვის უფლებები
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები
- ტრეფიკინგი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები
- დისკრიმინაცია
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება
- მიწის სისტემური რეგისტრაცია
- მემკვიდრეობა
- პრობაციონერთა უფლებები
- ნარკოდანაშაული
- ბავშვთა უფლებები
- ბულინგი
- ტოლერანტობა
- დისკრიმინაცია და მისი აღმოფხვრა
- თანასწორუფლებიანობა
- ნაადრევი ქორწინება
- იძულებით ქორწინება
- განრიდება
- თავშესაფრის მოთხოვნა
- საკუთრების უფლების შეზღუდვა
- დისკრიმინაცია სქესის ნიშნით
- ცხოველთა დაცვის სამართლებრივი საკითხები
- არასრულწლოვანთა შრომა
- სოციალურად დაუცველთა უფლებები
- პირის მხარდამჭერის მიმღებად ცნობა
- იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები
- იურიდიული მნიშვნელობის მქონე აქტები
- თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების როლი.



### 3.4. ქალთა მიართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი გლობალური კამპანია

25 ნოემბრიდან - 10 დეკემბრამდე მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს გლობალური კამპანია „ქალთა და ოჯახში

ძალადობის წინააღმდეგ“. იურიდიული დახმარების სამსახური არის ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად ჩართულია ქალთა უფლებების დაცვის საქმეში.

კამპანიის ფარგლებში 2024 წელს ჩატარდა 12 შეხვედრა:

1. ქ. ზუგდიდი - ასოციაცია „მერკურის“ ბენეფიციარები;
2. ზუგდიდში მცხოვრები პრობაციონერი ქალები;
3. ქ. ოზურგეთი - ოზურგეთის ლიდერთა სკოლა;
4. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი არგვეთას მოსახლეობა;
5. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელს სარეკის მოსახლეობა;
6. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები
7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები
8. ქედა, კოლეჯი „ბლექ სი“ -ს სტუდენტები
9. ქედა - „ქალთა ოთახის ბენეფიციარები
10. თელავში მცხოვრები პრობაციონერი ქალები
11. ქუთაისში მცხოვრები პრობაციონერი ქალები
12. ბათუმში მცხოვრები პრობაციონერი ქალები

### 3.5. ეთნიკური უმცირესობებისათვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა



ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა გამართეს 20 შეხვედრა, რომელსაც საერთო ჯამში 500-მდე ადამიანი დაესწრო.

რუსთავის და სიღანღის იურიუდიული დახმარების ბიუროების წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთნენ სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ ფართომასშტაბიან

მრავალკომპონენტიან საინფორმაციო კამპანიაში, რომელიც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით მიმდინარეობდა.

შეხვედრები გაიმართა შემდეგი სოფლების მოსახლეობასთან: იორმუღანლო, ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო, ქეშალო, დუზაგრამი, წიწმატიანი, პალდო, თულარი, კაზლარი, ცურტავი, ნახიდური, დარბაზი, ძველი ქვეში, კალინინო, ქესალო, მუღანლო, აკთაკლია, ყარათალა, ირგინჩაი, ომამლო.



კამპანიის ფარგლების გარეშე, ასევე ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულს სოფელ ციხისძირში შეხვედრა გამართეს მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს წარმომადგენლებმა.

### 3.6. იცოდე შენი უფლება 18 წლამდე



არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით, თბილისისა და რეგიონების სკოლებში ჩატარდა 16 შეხვედრა, რა დროსაც სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ თემებზე:

- ბავშვის უფლებები;

- ბულინგი;
- დისკრიმინაცია;
- ტოლერანტობა;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;
- გენდერული თანასწორობა;
- ოჯახში ძალადობა;
- შრომითი უფლებები;
- განრიდება და მედიაცია.
- ნაადრევი ქორწინება
- თანასწორუფლებიანობა
- ცხოველთა უფლებების დაცვა
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

**შეხვედრები ჩატარდა შემდეგ სკოლებში:**

1. 5 აპრილი, 2024 - თბილისის მე-18 საჯარო სკოლა;
2. 10 აპრილი, 2024 -ქუთაისის სკოლა „იმედი“
3. 11 აპრილი, 2024 -სენაკის მუნიციპელიტეტის სოფელი ნოსირი
4. 17 აპრილი,2024 - აბაშის #1 საჯარო სკოლა
5. 27 აპრილი, 2024 - თბილისის მე-60 საჯარო სკოლა
6. 3 ივნისი , 2024 -თბილეიეი 64-0ე საჯარო სკოლა
7. 5 მარტი, , 22 ნოემბერი, 2024. - ფოთის მე-7 საჯარო სკოლა ( 2-ჯერ)
8. 5 ივნისი, 2024, თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლა
9. 31 ივლისი, 2024 -ნორიოს საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი
10. 3 დეკემბერი, ფოთის მე-12 საჯარო სკოლა (3-ჯერ)
11. 16 ოქტომბერი, 2024 - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლა, სიღნაღის მუნიციპალიტეტი
12. სოფელ ანაგის საჯარო სკოლ, ასიღნაღის მუნიციპალიტეტის
13. 29 ოქტომბერი, 2024 - სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
14. 18 ნოემბერი, 2024 - სოფელ საირხის საჯარო სკოლა, საჩხერის მუნიციპალიტეტი
15. 20 ნოემბერი, 2024 ოზურგეთის ლიდერთა სკოლა
16. 9 დეკემბერი, 2024 - სოფელ ნაკიფუს საჯარო სკოლა,წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

17. 11 დეკემბერი, 2024 - ვახტანგ ფირცხალავას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს #2 საჯარო სკოლა
18. 13.დეკემბერი, 2024 - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა
19. 20 დეკემბერი, 2024 - მცხეთის მე-2 საჯარო სკოლა



### 3.7. ანტინარკოტიკული კამპანია

2024 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო კამპანია ჩაატარა.

კამპანიის ფარგლებში 2024 წლის 15 თებერვალს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია და სხვა წარმომადგენლები პროფესიულ კოლეჯ "მერმისს" ესტუმრნენ. სამსახურის დირექტორი დავით სიმონია კოლეჯის სტუდენტებს ესაუბრა საქართველოში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის და იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების შესახებ. თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა გიორგი ჩაკვეტაძემ კი ახალგაზრდებს მოაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ბიუროს მუშაობის სპეციფიკის შესახებ. შემდეგ თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსის მოადგილემ, ცირა გამცემლიძემ წარმოადგინა პრეზენტაცია "ნარკოდანაშაული და აზარტული თამაშები", რომელშიც მიმოხილული იყო აღნიშნული თემატიკის სამართლებრივი რეგულაციები.






ამავე თემას მიეძღვნა სპეციალური გადაცემები იურიდიული დახმარების რადიო პროექტში „სამართლებრივი რჩევები“;

2024 წლის 26 თებერვლის გადაცემის სტუმარმა, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა გიორგი ჩაკვეტაძემ ისაუბრა ნარკოდანაშაულის თავისებურებებზე.

2024 წლის 11 მარტს იურისტმა დიმიტრი ტორაძემ ისაუბრა თემაზე „ნარკორეალიზაცია“;

2024 წლის 18 მარტს გადაცემის სტუმარი იყო სამართლის დოქტორი მორის შალიკაშვილი, რომელმაც ისაუბრა ნარკოდანაშაულის კრიმინოლოგიურ ასპექტებზე;

2024 წლის 4 მარტის გადაცემის სტუმარი იყო ექიმი-ნარკოლოგი სალომე ნადირაშვილი. მან ისაუბრა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით.




გადაცემებს უძღვებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნინო ჩუტკერაშვილი.

## IV. სამთავრობო ვალდებულებები

### 4.1. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა

იურიდიული დახმარების სამსახურს 2024 წლს ვალდებულებად აღებული ჰქონდა საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ასევე, საქართველოს მასშტაბით, რეგიონებში  მცხოვრებ დევნილებთან და დევნილთა ჩასახლებებში. ვალდებულების ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა:

1. 2024 წლის 15 აპრილს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჟამში;

2.2024 წლის 18 აპრილს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში;

3. 2024 წლის 14 ივნისს, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარქუშაანში

4. 2024 წლის 30 ივლისს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბანოში.

5. 2024 წლის 9 სექტემბერს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურში.

6.2024 წლის 13 აგვისტო, ფოთის დევნილთა ჩასახლებაში.

7. 2024 წლის 30 აგვისტო -გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზში.

### 4.2. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების გადამზადება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საკითხებში

2024 წლის 1-2 აგვისტოს, თბილისში, (1 ტრენინგი) გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით და დიდი ბრიტანეთის მთავრობის დაფინანსებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი და საქართველოს კონტექსტი''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ, თბილისსა და რეგიონებში მოქმედი საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი.

### 4.3. უფასო საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება საქართველოს მასშტაბით, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის, მათ შორის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე

აღნიშნული გეგმის ფარგლებში სამსახურმა ჩაატარა **23 შეხვედრა:**

1. 2024 წლის 25 იანვარი ქ. ოზურგეთი, ბიუროს შენობაში, ქალები სოფელ შემოქმედში;

2. 2024 წლის 21 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასაკირალში;

3. 2024 წლის 21 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში;

4. 2024 წლის 25 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში;

5. 2024 წლის 25 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში;

6. 2024 წლის 28 თებერვალს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში;

7. 2024 წლის 19 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ ხიბულაში;

8. 2024 წლის 20 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაში;

9. 2024 წლის 21 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურში;

10. 2024 წლის 25 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონში;

11. 2024 წლის 27 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარიატაში;

12. 2024 წლის 5 აპრილს, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანაში;

13. 2024 წლის 10 აპრილს, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ნოქალაქევი;

14. 2024 წლის 12 აპრილს, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ხორში;

15. 2024 წლის 15 აპრილს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჟამში (გამყოფი ხაზი);

16. 2024 წლის 18 აპრილს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში (გამყოფი ხაზი);

17. 2024 წლის 16 აპრილს, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძაში;

18. 2024 წლის 14 ივნისს, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარქუშაანში (გამყოფი ხაზი);

19. 2024 წლის 30 ივლისს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბანოში (გამყოფი ხაზი);

20. 2024 წლის 9 სექტემბერს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურში (გამყოფი ხაზი);

21. 2024 წლის 13 აგვისტო, ფოთის დევნილთა ჩასახლების პირველ ფლიგელში;

22. 2024 წლის 13 აგვისტო, ფოთის დევნილთა ჩასახლების მეორე ფლიგელში;

23. 2024 წლის 30 აგვისტო -გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზში (გამყოფი ხაზი);

**4.4. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა**

იურიდიული დახმარების სამსახურს ვალდებულებად აღებული ჰქონდა ადვოკატებისა და სამსახურის თანამშრომლებისთვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სასწავლო ღონისძიებების ჩატარება, რომლის ფარგლებშიც 2024 წლის 1-2 აგვისტოს, თბილისში, (1 ტრენინგი) გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით და დიდი ბრიტანეთის მთავრობის დაფინანსებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი და საქართველოს კონტექსტი''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ, თბილისსა და რეგიონებში მოქმედი საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის **23 თანამშრომელი.**

## 4.5. აქტივობები

### *4.5.1. სპეციალიზებული ადვოკატების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება*

იურიდიული დახმარების სამსახურის ხარისხის შეფასების სისტემაში, სპეციალიზებულ ადვოკატებთან კონსულტაციის შედეგად, შემუშავდა თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებში იურიდიული მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული კრიტერიუმები დამტკიცდა იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ და ინტეგრირდა იურიდიული დახმარების სამსახურის ხარისხის შეფასების სისტემაში.

იურიული დახმარების სამსახურის ხარისხის შეფასების სისტემაში ინტეგრირებული კრიტერიუმების საფუძველზე, ხარისხის შეფასების სამმართველოს მიერ განხორციელდა სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატების შემოწმება. შემოწმების შედეგები შესაბამისი სამმართველოს მიერ კვლევის სახით ჩამოყალიბდა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები.

### 4.5.2. განგრძობადი განათლება

პროექტით გათვალისწინებული მეორე აქტივობა მოიცავდა ლტოლვილთა სამართალში სპეციალიზებული ადვოკატების გადამზადებას ლტოლვილთა სამართლის აქტუალურ საკითხებზე. 2024 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისთან თანამშრომლობით, ორი ტრენინგი ჩაატარა. ტრენინგები ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

1. **კომპლექსური საკითხების განხილვა** თავშესაფრის საქმეებში, წარმოშობის ქვეყნის კვლევის მეთოდოლოგია;
2. **მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივი დახმარება.**

გარდა ამისა, ლტოლვილთა სამართალში სპეციალიზებულმა ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში:

1. ტრენინგი სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
2. დაკავების ალტერნატიული ზომების გაძლიერება და საქართველოში უდოკუმენტო მიგრანტების გაძევების პროცედურების დახვეწა;

3. წამების, არაადამიანური მოპყრობის და მძიმე ექსპლუატაციის მსხვერპლთა ეფექტური იდენტიფიკაციის, დაცვისა და რეაბილიტაციის მექანიზმების გაძლიერება;

### 4.5.3 წარმოშობის ქვეყნის შესახებ განახლებული ანგარიშების (COI) მომზადება

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის მხარდაჭერით, 2024 წლის 6 თებერვალს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისა და ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოძიების საკითხებზე.

2024 წელს ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სპეციალისტის მიერ ადვოკატების მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა 20 ანგარიში, რომლებიც მტკიცებულებების სახით იქნა წარდგენილი სასამართლო პროცესებზე.

### 4.5.4. ბენეფიციარებთან კომუნიკაცია და მიმდინარე საქმეების სტატუსის რეგულარული განახლება

აქტივობის მიზანია იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციარებთან აქტიური კომუნიკაციის უზრუნველყოფა და საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის რეგულარულად გაზიარება.

სპეციალიზებულ საქმეთა იურიდიული დახმარების ბიუროს შეუერთდა ლტოლვილთა სამართალში სპეციალიზებული კონსულტანტი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში კონსულტაციას უწევდა თავშესაფრის მაძიებლებს.

### 4.5.5. სასამართლო პროცედურების შესახებ ხშირად დასმული კითხვების (FAQ) მომზადება

იურიდიული დახმარების სამსახურმა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით თავშესაფრის მაძიებლებისათვის მოამზადა ბროშურები სამ ენაზე (ინგლისური, სპარსული, არაბული). ბროშურა მოიცავს ხშირად დასმულ შეკითხვებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურების, სასამართლო პროცესების, ვადებისა და ლტოლვილთა უფლებების შესახებ.

### 4.5.6. მოქალაქეობის არმოქნე პირებისათვის იურიდიული დახმარების სერვისების შეთავაზება

2024 წლის 28 მარტს იურიდიული დახმარების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, დღეს უკვე უზრუნველყოფილია სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის.

აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, 2024 წლის 16-17 ივლისს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) ორგანიზებით, სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატებისთვის ჩატარდა ტრენინგი მოქალაქეობის არქონის საკითხებზე.

ადვოკატებს მიეწოდათ ინფორმაცია მოქალაქეობის არმქონეობის, საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოსა და საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის დადგენის პროცედურების შესახებ.

ტრენინგში მონაწილეობას ასევე იღებდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და „უფლებები საქართველოს“ წარმომადგენლები, რომლებმაც ადვოკატებს საკუთარი გამოცდილება, სამართალწარმოების სტრატეგიები და პრაქტიკული რჩევები გაუზიარეს.

### 4.6.7. ტრენინგები, შეხვედრები

2024 წლის 8 ოქტომბერს, სამსახურის დირექტორი, დავით სიმონია საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) ხელმძღვანელს, კემლინ ფურლის შეხვდა. შეხვედრის მთავარი მიზანი გახლდათ სამსახურისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგებისა და მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმების განხილვა. ასევე, 2025 წლის პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის გაგრძელების შესაძლებლობების განხილვა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის ერთობლივი პროექტის კოორდინატორი მარიამ კვირკვია და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის უფროსი სამართლებრივი მრჩეველი თორნიკე ცაგარეიშვილი.

2024 წლის 20 ნოემბერს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი „SAYING NO TO SEXUAL

MISCONDUCT“. ტრენინგს ესწრებოდნენ სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები.

2024 წლის 19-20 სექტემბერს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი „CAPACITY-BUILDING FOR THE EFFECTIVE IDENTIFICATION, PROTECTION AND REHABILITATION OF VICTIMS OF TORTURE, INHUMAN TREATMENT AND SEVERE HUMAN EXPLOITATION“. ტრენინგს ესწრებოდნენ სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თამუნა გეგიაძე და პროექტის კოორდინატორი მარიამ კვირკვია.

2024 წლის 14 სექტემბერს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა „დაკავების ალტერნატიული ზომის შესახებ მექანიზმის გაძლიერება და უდოკუმენტო მიგრანტების საქართველოდან გაძევების პროცედურების დახვეწა“. შეხვედრას ესწრებოდნენ სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თეა ყაულაშვილი და პროექტის კოორდინატორი მარიამ კვირკვია.

**4.6.8. პროექტის ფარგლებში განხორციელებული დამატებითი აქტივობა**

2024 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაფართოვდა ხელოვნური ინტელექტის პროგრამა „LOGOS” ის გამოყენების არეალი. პროგრამა განახლდა და ამ ეტაპზე ადვოკატებს შესაძლებლობა აქვთ მოამზადონ როგორც სარჩელები, ასევე სააპელაციო საჩივრები. გარდა ამისა, ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს სპეციალისტის მიერ მომზადებული წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია მუდმივად განახლებადია შესაბამისად, განახლებადია ეს ინფორმაცია პროგრამაშიც.

**4.6.9. პროექტი იურიდიული დახმარების სერვისების გაუმჯობესება თავშესაფრის მაძიებლებისათვის საქართველოში**

იურიდიული დახმარების სამსახური 2015 წლიდან უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისათვის იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების გაწევას. ლტოლვილთა სამართლის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელია, თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებზე მომუშავე ადვოკატებს ჰქონდეთ როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული ლტოლვილთა სამართლის ცოდნა, საკმარისი დრო და რესურსები ეფექტური იურიდიული დახმარების გაწევისათვის. აქედან

გამომდინარე, იურიდიული დახმარების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისთან.

პროექტის „იურიდიული დახმარების სერვისების გაუმჯობესება თავშესაფრის მაძიებლებისათვის საქართველოში“ ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისს შორის თანამშრომლობა 2023 წელს დაიწყო და წარმატებით გრძელდება დღემდე. 2023 წლის 20 დეკემბერს მხარეებმა ხელი მოაწერეს 2024 წლის პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგი აქტივობების განხორციელებას

### 4.6.10. სხვა აქტივობა

2024 წლის 2 აპრილს, იურიდიული დახმარების სამსახურის სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროს და სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, რომელშიც პროფესიონალებმა და მოწვეულმა სპეციალისტებმა განიხილეს ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლის ეფექტიანი აღსრულების და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების საკითხები. ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში 150-ზე მეტმა პროფესიონალმა - სოციალურმა მუშაკმა, მოსამართლეებმა, ადვოკატებმა - მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ კოდექსის 26-ე მუხლი არეგულირებს ბავშვის ოჯახისგან განცალკევების საკითხს და ამას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას ექმნება მყისიერი საფრთხე, და მაშინაც გადაწყვეტილება სასამართლოს თანხმობით უნდა იქნეს მიღებული.

## IV. პროექტი „პარალეგალი“

### 4.1. პროექტის მიზანი

იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივით,(2022წ.) მოძრაობის „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“ ფარგლებში, დაიწყო პროექტი „პარალეგალი’’, რომელიც 2024 წელსაც აქტიურად გრძელდება.

პროექტი მიზნად ისახავს გადამზადების პროგრამის შემდეგ პარალეგალებმა მიღებული ცოდნიდან გამომდინარე მოსახლეობას გაუწიონ პირველადი

4

კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე. პარალეგალის როლს განსაკუთრებით ზრდის ის, რომ კონსულტაციის გაწევის გარდა, მათ დანიშნულებაა დაეხმარონ სამსახურის ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციაში. აღნიშნული მეთოდი მნიშვნელოვნად აადვილებს და ეფექტურს ხდის იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობის გაზრდას ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ვინაიდან პარალეგალები, არიან არაიურისტი პირები ან სამართლის სტუდენტები, პროექტში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მონაწილეობის მისაღებად არ არის საჭირო კონკრეტული პროფესიის ან საქმიანობის ქონა, მთავარია სურვილი და მოტივაცია, სამსახურის მიერ დაგეგმილი პროგრამის საფუძვლიანად გავლა და მოსახლეობასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება.

პროექტის ფარგლებში, სამსახურმა იმერეთსა და აჭარის რეგიონში შექმნა პარალელების ქსელი, რომელიც აერთიანებს 87 ადამიანს.

პროექტის ფარგლებში 6-მა წარმატებულმა სტუდენტმა პარალეგალმა სტაჟირება გაიარა ბათუმის, ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიუროში.

USAID-სა და იურიდიული დახმარების სამსახურს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიდან გამომდინარე, პროექტ ,,პარალეგალის’’ ფარგლებში 20234წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. 2024 წლის განმავლობაში სულ განხორციელდა 19 აქტივობა. 4 საინფორმაციო შეხვედრა, 4 იმიტირებული სასამართლო პროცესი, 9 ტრენინგი პარალეგალი სტუდენტებისთვის, 1 შეხვედრა და 1 საზაფხულო ბანაკი.

### 4.2. პარალეგალთა გადამზადება

2024 წლის 5 თებერვლიდან 9 თებერვლის ჩათვლით, პროექტ „პარალეგალის“ ფარგლებში, პარალეგალებისთვის გაიმართა 2 ტრენინგი სახელწოდებით - „ეფექტური კომუნიკაცია“. ტრენინგს უძღვებოდა დარგის ექსპერტი - ვლადიმერ მკერვალიშვილი.

2024 წლის 16 მარტს, ქ.ქუთაისში და 23 მარტს ქ. ბათუმში, პროექტ „პარალეგალის“ ფარგლებში, პარალეგალებისთვის გაიმართა 2 ტრენინგი თემაზე - ,,შრომის

სამართალი''. ტრენინგს უძღვებოდა დარგის ექსპერტი, მოსამართლე - ქეთევან მესხიშვილი.

2024 წლის 5 აპრილს ქ.ქუთაისში და 12 აპრილს ქ. ბათუმში, პროექტ „პარალეგალის“ ფარგლებში, პარალეგალებისთვის გაიმართა 2 ტრენინგი სახელწოდებით - „სასესხო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება მატერიალური და პროცესუალური ასპექტები“. ტრენინგს უძღვებოდა დარგის ექსპერტი - მაია ბაქრაძე.

2024 წლის 29 ივნისს, ქ.ქუთაისში, პროექტ ,,პარალეგალის'' ფარგლებში, პარალეგალებისთვის გაიმართა 1 ტრენინგი სახელწოდებით - ,,მიწის რეგისტრაციის საკითხები''. ტრენინგს უძღვებოდა დარგის ექსპერტი - ლევან სანებლიძე.

2024 წლის 20 დეკემბერს, ახალციხეში პროექტ „პარალეგალის“ ფარგლებში, პარალეგალებისთვის გაიმართა 1 ტრენინგი სახელწოდებით - „ადამიანის ძირითადი უფლებები“. ტრენინგს უძღვებოდა დარგის ექსპერტი - გიორგი ბურჯანაძე.

2024 წლის 25 დეკემბერს, ახალციხეში, პროექტ „პარალეგალის“ ფარგლებში, პარალეგალებისთვის გაიმართა 1 ტრენინგი სახელწოდებით - „შშმ პირთა უფლებები“. ტრენინგს უძღვებოდა დარგის ექსპერტი - ნინო ელბაქიძე.

### 4.3. გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები პარალეგალთა ჩართულობით

მოძრაობის „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით შეხვედრები, როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ისე სკოლის მოსწავლეებთან USAID ,,სამართლის უზენაესობის პროგრამის '' მხარდაჭერით გაიმართა.

შეხვედრაზე ადგილობრივებმა მიიღეს ინფორმაცია უფასო იურიდიული სერვისებით სარგებლობისა და სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ. ხოლო პარალეგალებმა მოსახლეობასთან ისაუბრეს ინკლუზიური განათლების მნიშვნელობაზე, ბავშვთა უფლებებზე, ბულინგის სახეებსა და ბავშვთა უფლებათა კოდექსიდან გამომდინარე აქტუალურ საკითხებზე.

საჯარო სკოლებში გამართული შეხვედრების ფარგლებში, პარალეგალებმა სკოლის მოსწავლეებს გააცნეს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: ბავშვის

უფლებები, ბულინგის სახეები, ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა, უფასო იურიდიული სერვისებით სარგებლობა და სამსახურის მიმდინარე პროექტები.

ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას მიეწოდებოდა ინფორმაცია უფასო იურიდიული სერვისებით სარგებლობისა და სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ.

2024 წლის თებერვლის თვეში გაიმართა ერთობლივი შეხვედრა აჭარისა და იმერეთის რეგიონში მცხოვრებ პარალეგალებთან. სამსახურის დირექტორმა, დავით სიმონიამ შეხვედრაზე პარალეგალებს გააცნო სამომავლო გეგმები და განსახორციელებელი აქტივობები. ასევე, მათ გადასცა 5-9 თებერვალს გამართულ ტრენინგში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები. იურიდიული დახმარების სამსახურს USAID ,,სამართლის უზენაესობის პროგრამის'' მხარდაჭერით უკვე 87 მოქმედი პარალეგალი ჰყავს. ისინი უკვე გადამზადდნენ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე და აქტიურად ახორციელებენ შეხვედრებს.

2024 წლის 5 მარტს, პარალეგალებთან ერთად USAID ,,სამართლის უზენაესობის პროგრამის'' მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქალაქ ფოთის მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის. პარალეგალებმა სკოლის მოსწავლეებს გააცნეს შემდეგი თემები: ბავშვის უფლებები, ბულინგის სახეები და ბავშვის უფლებათა კოდექსიდან გამომდინარე აქტუალური საკითხები. შეხვედრა წარიმართა მოსწავლეების აქტიური ჩართულობით.
იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა მაია ნოზაძემ სკოლის მოსწავლეებს გააცნო სამსახურის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ჩვენი სერვისები და მიმდინარე პროექტები.

2024 წლის 6 მარტს, პარალეგალებთან ერთად USAID -ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, გაიმართა შეხვედრა აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეკრებილ საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აბაშის მუნიციპალიტეტის მერმა - გიგა გაბელაიამ. იურიდიული დახმარების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა, მაია ნოზაძემ, დამსწრე პირებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებზე და საკანონმდებლო ვალდებულებებსა და განხორციელებულ პროექტებზე.

2024 წლის 10 აპრილს, პარალეგალებთან ერთად USAID -ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ქ. ქუთაისში აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სკოლა „იმედში“ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრა. შეხვედრას უძღვებოდა სამსახურის ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი - მაია ნოზაძე.

პარალეგალებმა სკოლის მოსწავლეებს გააცნეს შემდეგი თემები: ბავშვის უფლებები, ბულინგის სახეები და ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა. შეხვედრა წარიმართა მოსწავლეების აქტიური ჩართულობით. სკოლის მოსწავლეებს გავაცანით იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ჩვენი სერვისები და მიმდინარე პროექტები.

2024 წლის11 აპრილს, პარალეგალებთან ერთად USAID -ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა სენაკის რაიონის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. პარალეგალებმა სკოლის მოსწავლეებს გააცნეს შემდეგი თემები: ბავშვის უფლებები, ბულინგის სახეები და ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა. შეხვედრა წარიმართა მოსწავლეების აქტიური ჩართულობით. სკოლის მოსწავლეებს სამსახურის წარმომადგენლებმა გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ჩვენი სერვისები და მიმდინარე პროექტები.

### 4.4. იმიტირებული სასამართლო პროცესები პარალეგალთა მონაწილეობით

5. პროექტ პარალეგალის ფარგლებში აქტიურად იმართება იმიტირებული სასამართლო პროცესები. პროცესზე მხარეებს წარმოადგენდნენ სტუდენტი პარალეგალები, ხოლო ნაფიცი მსაჯულები შესაბამისი მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეები გახლავთ.
6. იმიტირებული პროცესის დაწყებამდე მოსწავლეები ეცნობიან დეტალურ ინფორმაციას ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე. იმიტირებული პროცესის საქმის მასალები იმგვარად შედგენილი, რომ ნაფიც მსაჯულებს შესაძლებლობა აქვთ იმსჯელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე აქტუალურ საკითხებზე და შემდგომ გაეცნონ კვალიფიციურ სამართლებრივ შეფასებებს.
7. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნა კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია იურიდიული დახმარების სამსახურის 5 თანამშრომლისაგან და რომლის ვალდებულებაც გახლდათ იმიტირებული პროცესის საქმის მასალების შედგენა.
8.

9. 2024 წლის 5 მარტს, პროექტ ,,პარალეგალის'' ფაგრლებში, USAID ,,სამართლის უზენაესობის პროგრამის'' მხარდაჭერით გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი ფოთის საქალაქო სასამართლოში. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მნიშვნელობაზე ისაუბრა, ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ - დავით გელაშვილმა.
10. აღსანიშნავია, რომ პროცესზე მხარეებს წარმოადგენდნენ სტუდენტი პარალეგალები იმერეთისა და აჭარის რეგიონიდან, ხოლო ნაფიცი მსაჯულები გახლდათ ქალაქ ფოთში არსებული სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები.
11. 2024 წლის 6 მარტს, პროექტ ,,პარალეგალის'' ფარგლებში, USAID ,,სამართლის უზენაესობის პროგრამის'' მხარდაჭერით გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.
12. აღსანიშნავია, რომ პროცესზე მხარეებს წარმოადგენდნენ სტუდენტი პარალეგალები, ხოლო ნაფიცი მსაჯულები გახლდათ ქალაქ ზუგდიდში არსებული სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. მოსწავლეები.
13. 2024 წლის 10 აპრილს, პროექტ ,,პარალეგალის'' ფარგლებში, USAID ,,სამართლის უზენაესობის პროგრამის'' მხარდაჭერით გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში.
14. აღსანიშნავია, რომ პროცესზე მხარეებს წარმოადგენდნენ სტუდენტი პარალეგალები, ხოლო ნაფიცი მსაჯულები გახლდათ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები.
15.
16. 2024 წლის 11 აპრილს, პროექტ ,,პარალეგალის'' ფარგლებში, USAID ,,სამართლის უზენაესობის პროგრამის'' მხარდაჭერით გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი სენაკის რაიონულ სასამართლოში.
17. იმიტირებულ პროცესზე მხარეებს წარმოადგენდნენ სტუდენტი პარალეგალები ბათუმიდან, ხოლო ნაფიცი მსაჯულები გახლდათ სენაკის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

### 4.6. პროექტ „პარალეგალის ფარგლებში განხორციელებული სხვა ღონისძებები

2024 წლის 29 ივნისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით USAID -ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ბორჯომში გაიმართა საზაფხულო ბანაკი სტუდენტი პარალეგალებისთვის. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ პარალეგალები აჭარისა და იმერეთის რეგიონიდან და სტუდენტები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერისიტეტიდან. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა - დავით სიმონიამ და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილემ - ჰერბ ბოუმენმა. საზაფხულო ბანაკის ფარგლებში

სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ დარგის ექსპერტებს და გაეუმჯობესებინათ სოციალური უნარები.

## V. ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველო

2024 წელს ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველოს ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ ადვოკატთა მოთხოვნის და სასამართლო განჩინებების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნა კონსულტაციების გაწევა, მომართვებში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, ფსიქოლოგიური კვლევების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება.

იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით შეხვედრები გაიმართა არასრულწლოვანებთან სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით.

2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, სასამართლო განჩინების თანახმად და ადვოკატის მომართვის საფუძველზე, ფსიქოლოგები ჩაერთნენ 8 სამოქალაქო და 1 სისხლის სამართლის საქმეში, დაესწრნენ არასრულწლოვანთა გამოკითხვის პროცესებს, ადვოკატებს გაუწიეს კონსულტაციები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში არასრულწლოვანებთან და საქმის გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველოს ფსიქოლოგ-კონსულტანტებმა მონაწილეობა მიიღეს არასრულწლოვანთა სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართულ 4 შეხვედრაში.

ასევე, სამუშაო შეხვედრები გაიმართა ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველოს ფსიქოლოგ-კონსულტანტებსა და საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის (THE INTERNATIONAL LEGAL FOUNDATION) წარმომადგენლებს შორის ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის, სასამართლოში მოწმის სახით წარდგენის, ეთიკური სტანდარტების და სხვა საკითხების შესახებ სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

წარმოგიდგენთ ფსიქოლოგების მიერ სამოქალაქო და სისხლის სამართლის, დასრულებულ და მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით, ასევე, არასრულწლოვანების სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციას.

### 5.1. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები

1. **ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განჩინება ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ**
   **დავის საგანი:** ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა;
   **მომართვის მიზანი:** ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, განჩინებაში დასმულ კითხვებზე პასუხი, რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

2. **მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინება ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ**
   **დავის საგანი:** ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა; ალიმენტის დაკისრება;
   **მომართვის მიზანი:** ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, განჩინებაში დასმულ კითხვებზე პასუხი, რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

3. **თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის მომართვა**
   **მომართვის მიზანი:** არასრულწლოვანთან და არასრულწლოვანის ოჯახის წევრებთან გასაუბრების პროცესზე ფსიქოლოგ-კონსულტანტის დასწრება და კონსულტირება არასრულწლოვანის საჭიროებების განსაზღვრის და არასრულწლოვნის ინტერვიუირების საკითხებში.

4. **თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის მომართვა**
   **მომართვის მიზანი:** არასრულწლოვანთან გასაუბრების პროცესზე ფსიქოლოგ-კონსულტანტის დასწრება; სასამართლო პროცესში მონაწილეობა.

5. **წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლოს განჩინება ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ**
   **დავის საგანი:** არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება.
   **მომართვის მიზანი:** ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, განჩინებაში დასმულ კითხვებზე პასუხი, რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

6. **მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის მომართვა**
   **დავის საგანი:** ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა; ალიმენტის დაკისრება; მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა.
   **მომართვის მიზანი:** ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, მომართვაში დასმულ კითხვებზე პასუხი.

7. **აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიუროს მომართვა**
   **ბრალდება:** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი; **მომართვის მიზანი:** მომართვაში დასმულ კითხვაზე პასუხი.

8. **ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის მომართვა**
   **მომართვის მიზანი:** არასრულწლოვანთან და მშობელთან გასაუბრება / კონსულტირება.

9. **მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის მომართვა**
   **მომართვის მიზანი:** მინდობით აღსაზრდელთან, მინდობით აღმზრდელთან და ბიოლოგიურ მშობელთან გასაუბრება / კონსულტირება.

აღნიშნულ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ფსიქოლოგების მიერ განხორციელდა, ხოლო მიმდინარე საქმეებთან მიმართებაში ხორციელდება შემდეგი სახის აქტივობები:

- საქმის მასალების გაცნობა;
- საქმესთან დაკავშირებით განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა;
- შეხვედრები, კონსულტაციები, გასაუბრებები და ინტერვიუების წარმოება ბენეფიციარებთან, ბენეფიციარების ოჯახის წევრებთან და საქმესთან კავშირში მყოფ სხვა პირებთან;
- ფსიქოლოგიური შეფასება/დიაგნოსტირება ქცევაზე დაკვირვების, ტესტების, კითხვარების, ინტერვიუების და პროექციული მეთოდების საშუალებით;
- მომართვის მოთხოვნის შესაბამისად, კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, მომართვაში დასმულ კითხვებზე პასუხი, დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება;
- სასამართლო პროცესებში მონაწილეობა.

## 5.2. შეხვედრები არასრულწლოვნებთან

2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველოს ფსიქოლოგ-კონსულტანტებმა მონაწილეობა მიიღეს არასრულწლოვანების სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართულ 4 შეხვედრაში.

1. 2024 წლის 2 აპრილს აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ განხორციელდა შეხვედრა რუსთავის დღის ცენტრ „კესანე“ - ში;



**2**. 2024 წლის 5 აპრილს ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ განხორციელდა შეხვედრა თბილისის N18-ე საჯარო სკოლაში;

**3**. 2024 წლის პირველ ივნისს ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ განხორციელდა შეხვედრა ხაშურის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში;

**4**. 2024 წლის  პირველ ივნისს ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ განხორციელდა შეხვედრა გორის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში.

არასრულწლოვანებთან შეხვედრების თემატიკა მოიცავდა დღეისათვის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა  ბავშვის უფლებები, ბულინგი, სიძულვილის ენა, კონფლიქტები, საზოგადოებაში არსებული სტიგმები, დისკრიმინაციული და სტერეოტიპული დამოკიდებულებები, ტრეფიკინგი და სხვა.

## VI. სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, სსიპ იურიდიული დახმარების საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N120-ე გადაწყვეტილების შესაბამისად, 2024 წელს შეისწავლა ადვოკატთა:

- 2074 სისხლის სამართლის საქმე;
- 658 სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმე;
- არასრულწლოვანთა 1553 მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე;
- არასრულწლოვანთა 1551 მიმდინარე სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმე;
- თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირთა 17 საქმე;

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, სსიპ იურიდიული დახმარების საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N120-ე გადაწყვეტილების შესაბამისად, 2024 წელს შეისწავლა კონსულტანტების:

- 1298 კონსულტაცია (ქოლ-ცენტრის კონსულტანტები);
- სამსახურის მობილური აპლიკაციით შემოსული 440 კონსულტაცია.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, სამსახურის დებულების შესაბამისად, შეისწავლა 9 ადვოკატის სამუშაო დღის საქმიანობა.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ცვლილებები შევიდა კლიენტის კომუნიკაციის კითხვარებში და მომსახურების სტანდარტებში და კიდევ უფრო ეფექტური გახდა ეს კითხვარები პრაქტიკული გამოყენებისათვის;

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, 2024 წლის დეკემბრის თვეში შემუშავდა ბავშვზე და შშმ პირებზე მორგებული კლიენტის კომუნიკაციის კითხვარის, კმაყოფილების კვლევისა და მომსახურების პირობების ფორმები. ბავშვებისათვის განისაზღვრა ორი ასაკობრივი ზღვარი, 6-13 წელი და 13-18 წელი.

- **თანამშრომელთა მოტივირება**

თანამედროვე ორგანიზაციებში წარმატებისა და ორგანიზაციული ეფექტიანობის წინაპირობად თანამშრომელთა მიერ კარგად შესრულებული სამუშაო ითვლება,

ხოლო თანამშრომელთა მოტივირება ორგანიზაციული ეფექტიანობის მიღწევის წინაპირობაა და ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მას.

იურიდიული დახმარების სამსახური ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ნერგავს პროექტულ მუშაობას და მიზნებზე დაფუძნებულ მართვის სისტემას, რაც გულისხმობს შედეგზე დაფუძნებულ მიდგომას. შედეგებზე დაფუძნებული მართვა გულისხმობს თანამშრომელთა მოტივირების დამსახურებაზე დაფუძნებულ მიდგომას, სადაც თითოეული თანამშრომლისათვის განსაზღვრულია მიზანი, რომელიც დაკავშირებულია სამსახურის ორგანიზაციულ მიზნებთან. სწორედ შესრულებული სამუშაოს სამართლიანად შეფასება და თანამშრომელთა დამსახურებაზე დაფუძნებული წახალისება განსაზღვრავს იმას, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის თითოეული დასაქმებული მიმართულია ორგანიზაციული შედეგების გაუმჯობესებაზე.

წახალისება ეფუძნება „დამსახურებას“, ანუ თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობას, ხარისხს და სხვა პარამეტრებს. წახალისების ეს ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგად წელიწადში ერთხელ, იმ თანამშრომლებისათვის, რომლებსაც შესაბამისი შედეგები ჰქონდათ. წახალისების გამოყენება ხდება ასევე, ინდივიდუალურად, სამუშაოს შესრულებისთვის, ან სამუშაოს განსაკუთრებით მაღალი ხარისხით შესრულებისათვის წლის ნებისმიერ მონაკვეთში.

გუნდურობის, ჩართულობისა და ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის განსაზღვრულია ჯილდო ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სამსახურში, წელიწადში ერთხელ დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია წლის წარმატებული თანამშრომლის გამოვლენის მიზნით, რომელიც ეფუძნება მის წარმოებაში არსებული საქმეებიდან მისივე გადასახედიდან მიჩნეულ ყველაზე წარმატებულ საქმედ. შეფასება ხდება ბოლო 1 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შეფასების შემდეგ, როცა კომისიის წევრები ასევე დირექტორის ბრძანებითვე გამოყოფილ მუშა ჯგუფთან ერთად აფასებენ თითოეულ კონკრეტულ საქმეს მასში გაწეული ადვოკატის წვლილის ყოველმხრივი ობიექტური და სამართლიანი შეფასების საფუძველზე.

მიმდინარე წელს თანამშრომელთა წახალისების მიზნით შეიქმნა კომისია, რომელმაც, სამსახურის დირექტორის ბრძანების თანახმად, განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება დირექტორისათვის წარედგინა კანდიდატები რომლებიც კომისიის აზრით იმსახურებდნენ ჯილდოს გაწეული საქმიანობისა და საქმეში მიღებული მონაწილეობისა და წვლილისა და სტრატეგიის გათვალისწინებით.

სამსახურის დირექტორის ბრძანების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ დამუშავებულ იქნა ადვოკატების/კონსულტანტების მიერ გამოგზავნილი

საქმეები/კონსულტაციები და კომისიის წინაშე გადასაწყვეტად წარმოდგენილ იქნა შემდეგი ინფორმაცია:

სამსახურის დირექტორის ბრძანების თანახმად განისაზღვრა ადვოკატებისთვის და კონსულტანტბისათვის განისაზღვრა კრიტერიუმები, რის მიხედვით უნდა ეხელმძღვანელა კომისიას, კერძოდ, ადვოკატებისათვის ეს კრიტერიუმები იყო:

1. საქმის წარმატებულად დასრულება (საქმის შედეგი);
2. საქმის წარმატებით დასრულებაში ადვოკატის მიერ შეტანილი წვლილი;
3. იურიდიული საქმის წარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Case-bank) ინფორმაციის შეყვანა (2023 წლის 1 აგვისტოდან 2024 წლის 31 ივლისის ჩათვლით);

ხოლო კონსულტანტებისათვის

1. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Case-bank) ინფორმაციის შეყვანა (2023 წლის 1 აგვისტოდან 2024 წლის 31 ივლისის ჩათვლით);
2. კონსულტაციის შედეგად შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გამართულობა (შესაბამისობა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან) და სამართლებრივ დოკუმენტებში რელევანტური ეროვნული სასამართლოს პრაქტიკის ან/და რელევანტური ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მითითება;

ბრძანებითვე ასევე განისაზღვრა, რომ ადვოკატისა და კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი ყოფილიყო მხოლოდ ერთი საქმე რომელსაც თავად ადვოკატი მიიჩნევდა წარმატებულად არსებულ თვითშეფასების ფორმასთან ერთად.

ბრძანების შესაბამისად კომისიისთვის წარმოდგენილი იქნა 76 (სამოცდათექვსმეტი) ადვოკატის 76 (სამოცდათექვსმეტი) საქმე და 15 (თხუთმეტი) კონსულტანტის 15 (თხუთმეტი) კონსულტაცია. წარმოდგენილი საქმეებიდან: სისხლის სამართლის 45 (ორმოცდახუთი) ადვოკატის 45 (ორმოცდახუთი) საქმე; სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის 31 (ოცდათერთმეტი) ადვოკატის 31 (ოცდათერთმეტი) საქმე.

სამუშაო ჯგუფის მიერ პირველადი შერჩევის საფუძველზე გამოვლენილი იქნა საქმეები/კონსულტაციები, რომლებმაც გადალახეს დასაშვებობის კერძოდ სისხლის სამართლის მიმართულებით 45 (ორმოცდახუთი) ადვოკატის 45 (ორმოცდახუთი) საქმე.

შესაბამისი კომისიის საბოლოოს გადაწყვეტილებით სამსახურებრივი ჯილდოები გადაეცათ 23 ადვოკატსა და 3 კონსულტანტს.

## VII. სასწავლო ცენტრის საქმიანობა

### 7.1. სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები

იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარდა 27 ტრენინგი. ტრენინგ-მოდულების შერჩევისას ყურადღება გამახვილდა, ადვოკატთა გამოკითხვის შედეგად ყველაზე აქტუალურ საკითხებსა და დონორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგ-პროგრამებზე.

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის როგორც აპარატის თანამშრომლებმა, ისე ადვოკატებმა და კონსულტანტებმა, ჯამში ტრენინგებს დაესწრო 256 მონაწილე (გენდერული ბალანსი: 66,8%- ქალი, 33,2%- კაცი).

- თემაზე - ,,ბავშვის მშობლისგან განცალკევების დაუშვებლობა'', *ჩატარდა 3 ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 18 თანამშრომელი;
- თემაზე- ,,შრომითი სამართლის საკითხები'', *ჩატარდა 5 ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 46 თანამშრომელი;
- თემაზე - ,,სასესხო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება მატერიალური და პროცესუალური ასპექტები'', *ჩატარდა 3 ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 18 თანამშრომელი;
- თემაზე - ,,ხელოვნური ინტელექტის ლიგალტექ პროგრამა „Logos"-ის გამოყენება კონსულტანტებისა და ადვოკატების მიერ'', *ჩატარდა 1 ონლაინ ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი;
- თემაზე - ,,მიწის რეგისტრაციის საკითხები'', *ჩატარდა 3 ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 12 თანამშრომელი;
- თემაზე - ,,ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნარ-ჩვევები'', *ჩატარდა 2 ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 14 თანამშრომელი;
- თემაზე - ,,კონფლიქტის მართვა და მედიატორის უნარ-ჩვევები'', *ჩატარდა 3 ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 56 თანამშრომელი;

- თემაზე - ,,მოქალაქეობის არქონის საკითხები'', *ჩატარდა 1 ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 6 თანამშრომელი;
- თემაზე - ,,იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საკითხების შესახებ'', *ჩატარდა 1 ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი;
- თემაზე - ,,ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნარ-ჩვევები'', *ჩატარდა 1 ტრენერთა ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 7 თანამშრომელი;
- თემაზე - ,,საერთაშორისო სამართალწარმოება'', *ჩატარდა 1 ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 22 თანამშრომელი;
- თემაზე - ,, შენობა-ნაგებობებზე უფლების რეგისტრაციის საკითხები'', *ჩატარდა 3 ტრენინგი,* გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 11 თანამშრომელი;

2024 წლის 7-8, 9-10 და 22-23 თებერვალს, (3 ტრენინგი) გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გაიმართა ტრენინგი თემაზე - ,,ბავშვის მშობლისგან განცალკევების დაუშვებლობა''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 18 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - თამარ ონიანი, სალომე ნამიჭეიშვილი, ნიკა სიმონიშვილი.

2024 წლის 16, 23, 30 მარტს, 21 სექტემბერს და 5 ოქტომბერს, (5 ტრენინგი) USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,შრომითი სამართლის საკითხები''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 46 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა მოსამართლე- ქეთი მესხიშვილი.

2024 წლის 6, 13 და 27 აპრილს, (3 ტრენინგი) USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,სასესხო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება მატერიალური და პროცესუალური ასპექტები''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა

იურიდიული დახმარების სამსახურის 18 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები- მაია ბაქრაძე, თამარ ქუსიკაშვილი.

2024 წლის 11 აპრილს, (1 ტრენინგი) ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU) მიერ, ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე - ,,ხელოვნური ინტელექტის ლიგალტექ პროგრამა „Logos“-ის გამოყენებას კონსულტანტებისა და ადვოკატების მიერ''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ კონსულტანტები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და სამართლის ინჟინერი - ლადო სირდაძე.

2024 წლის 11, 25 მაისს და 8 ივნისს, (3 ტრენინგი) USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,მიწის რეგისტრაციის საკითხები''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 12 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - ლევან სანებლიძე.

2024 წლის  5-8 და 10-13 ივნისს და (2 ტრენინგი) ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) და ფლორიდის შტატის მაიამი-დეიდის ოლქის ადვოკატების ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნარ-ჩვევები''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ბიუროს უფროსები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 14 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - კევინ ჰელმანი, დამარის დელ ვალე, ჯეიმს დუბრეი.

2024 წლის 18-19 ივნისს, 16-20 და 25-26 ივლისს , (3 ტრენინგი) გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,კონფლიქტის მართვა და მედიატორის უნარ-ჩვევები''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ბიუროს უფროსები, საზოგადოებრივი ადვოკატები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 56 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - სოფიო ჩაჩავა, სოფიო ტყემალაძე.

2024 წლის 16-17 ივლისს, (1 ტრენინგი) გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,მოქალაქეობის არქონის საკითხები''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 6 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - სალომე ქუსიკაშვილი, თეა კვირიკაშვილი.

2024 წლის 1-2 აგვისტოს, (1 ტრენინგი) გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საკითხების შესახებ''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - მაია ავალიანი.

2024 წლის 23-27 სექტემბერს, (1 ტრენინგი) იურიდიული დახმარების სამსახურის და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს (INL) თანამშრომლობის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურისა და ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებისთვის გაიმართა ტრენერთა ტრენინგი თემაზე - ,,ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები''. ტრენერთა ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს იმ ადვოკატებმა, რომლებმაც გაიარეს საბაზისო და შუალედური ტრენინგები ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევებში. სულ გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 7 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - კევინ ჰელმანი,დამარის დელ ვალე,ჯეიმს დუბრეი.

2024 წლის 4-6 ოქტომბერს, (1 ტრენინგი) ტრენინგი) USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,საერთაშორისო სამართალწარმოება''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ბიუროს უფროსები, საზოგადოებრივი ადვოკატები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 22 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - ბესო ბოხაშვილი.

2024 წლის 8, 29 და 30 ნოემბერს, (3 ტრენინგი) ტრენინგი) USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე,, შენობა-ნაგებობებზე უფლების რეგისტრაციის საკითხები''. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ბიუროს უფროსები, კონსულტანტები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 11 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - ლევან სანებლიძე.

## 7.2. იურიდიული კლინიკა

2022 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახურსა და საქართველოს მასშტაბით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად წარმატებით ჩამოყალიბდა სამსახურის იურიდიული კლინიკა, რომელიც სტუდენტებს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს. საგანმანათლებლო პროგრამა 2024 წელსაც აქტიურად გრძელდება და მასში სულ უფრო და უფრო მეტი, როგორც ბაკალავრის ისე მაგისტრატურის სტუდენტი ერთვება.

იურიდიული კლინიკის პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრში იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში, მენტორი ადვოკატების ხელმძღვანელობით სტაჟირება გაიარა ხუთი უმაღლესი სასწავლებლის 31-მა სტუდენტმა.

- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) – 3 სტუდენტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - 18 სტუდენტი;
- საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი (GIU) – 3 სტუდენტი;
- ალტე უნივერსიტეტი - 4 სტუდენტი;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 3 სტუდენტი;

## 7.3. სასწავლო ცენტრის პორტალი

2024 სასწავლო ცენტრის ვებპორტალმა მუშაობა განაგრძო. აღნიშნული პორტალი შეიქმნა ევროპის საბჭოს მხარდაჭერით. იგი აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან

ფუნქციონალებს, რომლებიც იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებს დაეხმარებათ დეტალურად მიიღონ ტრენინგების შესახებ ინფორმაცია. ასევე, უფრო მარტივსა და გამჭვირვალეს გახდის ტრენინგზე რეგისტრაციის პროცედურას. პორტალის მეშვეობით, მომხმარებლებს შეეძლებათ ონლაინ ტრენინგების გავლა და ყველა საჭირო მასალის ჩამოტვირთვა. პორტალი იძლევა ყველა სახის სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას.

*ვებ. პორტალის ტექნიკური აღწერა არის შემდეგი სახის:*

- ძირითადი მოდული (დეშბორდი) - საინფორმაციო ბანერები, შეტყობინებები, გამოკითხვები, შეფასებები;
- კენჭისყრის მოდული (გამოკითხვა) - ადვოკატებს/კონსულტანტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის თემების განსაზღვრაში;
- კალენდარი - დაგეგმილი ტრენინგების კალენდარი ონლაინ რეგისტრაციის მოდულით;
- რიმაინდერის ფუნქცია - კონკრეტული ტრენინგის ან მნიშვნელოვანი ღონისძიების დაწყების შეხსენების ფუნქცია.
- ტრენინგების მოდული - დაგეგმილი ტრენინგების ჩამონათვალი შესაბამისი სტატუსებით;
- შეფასების მოდული - განვლილი ტრენინგების კითხვარის საშუალებით შეფასების მოდული (იძლეოდეს რედაქტირების საშუალებას, მაგალითად თუ გვინდა ორი ან სამი ტრენერის დამატება, ან სპეფიციკური კითხვების დასმა რაც სტანდარტულ კითხვარში არ გვაქვს);
- მესიჯინგის მოდული - იძლევა სხვა მომხმარებლებთან და პორტალის ადმინისტრატორებთან შეტყობინების გაგზავნის საშუალებას;
- ფაილების მოდული - ადვოკატებს ეძლევათ საშუალება შეინახონ, განაახლონ ან გააზიარონ მათთვის სასურველი ფაილები (არა უმეტეს 25 მბ);
- ელ. მასალები - ტრენინგის შემდგომ გარკვეული დროის განმავლობაში სასწავლო ცენტრს უნდა შეეძლოს მასალების, ვიდეო ჩანაწერებისა და პრეზენტაციების გაზიარება ადვოკატებისთვის;
- ტესტირების და გამოცდების მოდული;
- მომხმარებლის პროფილის, ჩეთის და ბლოგის მოდული.

## VIII. სამსახურის სამართლებრივი აქტივობები

## 8.1. სამსახურის ანალიტიკური საქმიანობა

### 8.1.1. კვლევები

2024 წლიდან სამსახურის ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა აქტიურად დაიწყო თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნების ბაზების განახლება. ინფორმაცია განკუთვნილია საქართველოში თავშესაფრის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელი პირების უფლებების დაცვაზე მომუშავე ადვოკატებისათვის. ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სპეციალისტები რელევანტურობის მიხედვით მუდმივად განაახლებენ საჭირო ინფორმაციებს სამსახურის ბენეფიციარის წარმოშობის ქვეყნების შესახებ, რათა მეტად დასაბუთებული იყოს მათი პოზიცია საკუთარ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და დევნის შიშის ნამდვილობაზე.

მიმდინარე წლის განმავლობაში დამუშავებულია შემდეგი COI-ები (წარმოშობის ქვეყნების შესახებ ინფორმაცია):

- გიულენის მოძრაობის ბრალდებული წევრების სამართლებრივი მდგომარეობა და დევნა თურქეთში;
- ლიბანში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობა;
- კონგოში პოლიტიკურ მდგომარეობისა და პოლიტიკური ნიშნით დევნის შემთხვევები;
- ირანში ბაპტისტი ქრისტიანების მდგომარეობა;
- ირანში ბაჰაიზმის მიმდევართა მდგომარეობა;
- რუსეთში არსებული მდგომარეობა: პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, რასის, ეროვნებისა და გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით დევნის საკითხები;
- კამერუნი - ანგლოფონური მოსახლეობის მდგომარეობა ქვეყანაში;

- ინდონეზია - აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მდგომარეობა და სოციალური პროგრამები;
- ირანი -გაფანტული სკლეროზით დაავადებული ადამიანების მდგომარეობა და სოციალური პროგრამები;
- ირანის სახელმწიფოს პოლიტიკა ირანელების მიმართ, რომლებიც ქვეყნის გარეთ საპროტესტო აქციებში იღებენ მონაწილეობას და გმობენ ირანის პოლიტიკურ რეჟიმს;
- ეგვიპტე- შშმ პირთა მდგომარეობა;
- ეგვიპტის პენიტენციურ დაწესებულებებში კოპტების მიმართ დისკრიმინაცია: წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები;
- ეგვიპტის სამხედრო ციხეებში სავალდებულო სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების გამო დაკავებულების მდგომარეობა;
- ირანში მიმდინარე მოვლენები-უსაფრთხოება და საომარი მოქმედებები ;
- ერაყში მიმდინარე პოლიტიკური და სამხედრო მოვლენები.

სამსახურის ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროს ადვოკატების მომართვის საფუძველზე ცალკეულ შემთხვევებში ასევე, გაკეთდა თარგმანები გარკვეული ტექსტებისა და ვიდეოების, რომლებიც ასახავდნენ საჭირო ინფორმაციას პოლიტიკურ არეულობაზე დასაცავი პირის წარმოშობის ქვეყანაში.

### 8.1.2. მომზადებული ანგარიშები

- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ მომზადდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმი, წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი (ANP).

- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა საბჭოსათვის წარსადგენად, მომზადდა უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მე-4 ციკლის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე ყოვლისმომცველი ეროვნული ანგარიში.
- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ მომზადდა, პარლამენტის კომიტეტებისა და საბჭოების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ფარგლებში სხვადასხვა თემატური მოკვლევისა თუ ნორმატიული აღსრულების კონტროლის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციების შესრულების სტატუსის შესახებ ანგარიში.
- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2025-2027 წლების და "ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს 1325 რეზოლუციების განხორციელების 2025-2027 წლების" ეროვნული სამოქმედო გეგმებში სამომავლოდ განსახორციელებელი აქტივობები.
- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ მომზადდა, ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის (2021-2027 წწ.) ვალდებულებებიდან გამომდინარე, სამსახურის მიერ განსახორციელებელი აქტივობათა პაკეტი.
- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ მომზადდა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ანგარიში.

- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ მომზადდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიში. ანგარიში წარედგინა, 2021 წლის 29 ნოემბრის N 551 დადგენილებით შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტს.
- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელი ჩაერთო, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფიში. ჯგუფის მუშაობაში სახელმწიფო უწყებებთან ერთად ჩართული არიან საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები.
- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მომზადდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. წარდგენილ ანგარიშში ნაჩვენები იყო რომ სამსახურმა სრულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. ანგარიშის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე სამსახურის წარმომადგენელმა ფიზიკურად წარადგინა შესაბამისი ნარატიული და სტატისტიკური ინფორმაცია.
- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ დამუშავდა დოკუმენტი "Beijing Declaration and Platform for Action", რომელიც შესაბამისი ცვლილებებითა და კომენტარებით გადაეგზავნა საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტს.
- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ იუსტიციის სამინისტროს გადაეგზავნა კომენტარები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის პროექტზე 2025-2026 წლებისთვის. სამსახურმა აღნიშნული დოკუმენტით აიღო შემდეგი

წლების ვალდებულებები და გამოთქვა მზაობა აქტიურად ითანამშრომლოს გეგმის იმპლემენტაციის პროცესში.

### 8.1.3. საერთაშორისო ურთიერთობები და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- **20 თებერვალს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციამ უმასპინძლა პოლონეთის დელეგაციას, რომელიც შედგებოდა ჰორიზონ ევროპის მთავარი მკვლევრის; მიგრაციის კვლევის ცენტრის მკვლევრისა და ვარშავის უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან. შეხვედრაზე დელეგაციის წარმომადგენლები გაეცნენ ინფორმაციას იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობისა და მანდატის შესახებ, ასევე დაინტერესდნენ სამომავლო თანამშრომლობით. შეხვედრის ბოლოს მხარეებმა ერთმანეთს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.
- **14 მარტს,** ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელი დაესწრო ონლაინ შეხვედრას ზუმის პლატფორმის მეშვეობით. შეხვედრა ინგლისურ ენაზე ჩატარდა, თემაზე ,,საქართველოში გენდერულ თანასწორობაზე ევროკავშირის სამოქმედო გეგმა". შეხვედრა დააორგანიზა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციამ. ღონისძიების მიზანი იყო წარმოეჩინა ევროკავშირის ქმედებები გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში ასევე, განხილულ იქნა სამომავლო პერსპექტივები.
- **27 მარტს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძემ და მოადგილე ლევან გვენეტაძემ სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროში უმასპინძლეს ტაჯიკეთის დელეგაციას, რომლის შემდგენლობაში შედიოდნენ ტაჯიკეთის იუსტიციის სამინისტროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დეპარტამენტის, პრეზიდენტის აღმასრულებელი აპარატის ადამიანის უფლებათა გარანტიების დეპარტამენტის ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს , შინაგან საქმეთა

სამინისტროს არასრულწლოვანთა და ახალგაზრდებს შორის სამართალდარღვევათა პრევენციისა და ინფორმაციის დეპარტამენტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის და სხვა იმ უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მოღვაწობენ. მასპინძლებმა სტუმრებს დეტალურად გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის ის სერვისები, რომელიც არასრულწლოვანთა და ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსებით არის გათვალისწინებული. წარუდგინეს სამსახურის მიერ სპეციალურად ბავშვებისთვის შექმნილი ვებგვერდი www.children.las.ge, რომელიც მოიცავს როგორც შემეცნებით, ასევე გასართობი შინაარსის მასალას. შემდეგ გაიმართა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის "ქეის ბანკის" პრეზენტაციას. მასპინძლებმა ამომწურავად უპასუხეს სტუმართა შეკითხვებს.

- **9 აპრილს,** გაეროს ქალთა ორგანიზაციასა (UN WOMEN) და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს შორის დაიდო ხელშეკრულება. შეთანხმების თანახმად, სამსახური უზრუნველყოფს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების სამართლებრივ დაცვას. პროექტის ფარგლებში სამსახურს დაემატა 2 საზოგადოებრივი ადვოკატი, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში.
- **25 ივლისს,** სამსახურის ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სპეციალისტი თამრიკო ნაჭყებია დაესწრო ევროპის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლებთან შეხვედრას საჭიროების კვლევის ფარგლებში. პროექტის მიზანია, სასწავლო მოდულის შექმნა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე საქმეთა ხელახალი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის შესახებ. შემუშავებული მოდული იქნება სახელმძღვანელო დოკუმენტი სამსახურისთვის. მოდულის შემუშავება მოიცავდა 2 ეტაპს: საჭიროებების კვლევას და მოდულის შედგენას.

საჭიროებების კვლევის ეტაპზე ჩატარებულ ინტერვიუს გაუძღვნენ ექსპერტების გუნდი ანდრიანი კოსტოპულუ, ერიკ სვანიძე და ეკო მამალაძე.

- **16 სექტემბერს** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია იმყოფებოდა ნიდერლანდებში. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებთან. ასევე გაიმართა შეხვედრა მამხილებელთა სააგენტოს თავმჯდომარესთან - ვილბერტ ტომესენთან. შეხვედრას ესწრებოდა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი - დავით სოლომონია. შეხვედრაზე განიხილეს ჰოლანდიაში არსებული პრაქტიკა მამხილებელთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები და ასევე იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის სპეციფიკა. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელი კოლეგების განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურში მოქმედმა ინოვაციურმა რეფორმებმა. მხარეები შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და დანერგვის მიზნით
- **24 სექტემბერს,** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს ადამიანით ვაჭრობის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფთან (GRETA). შეხვედრის ფარგლებში განხილული იყო სამსახურის სერვისები ტრეფიკინგის მსხვერპლ პირებთან მიმართებით. სამსახურმა ასევე გააზიარა საკუთარი გამოცდილება საქართველოში ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში წარმატებით ჩართვასთან დაკავშირებით. ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა 3 შეხვედრა, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შეხვედრის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია სამსახურის სერვისებისა და თავიანთი უფლებების შესახებ.
- **26 ნოემბერს,** სასტუმროში - ჰილტონ გარდენ თბილისი, ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლები

ესწრებოდნენ სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას - „ფემიციდის პრევენცია და მონიტორინგი“.

### 8.1.4. საქმისწარმოება ადამიანის უპლებათა ევროპულ სასამართლოში

2022 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველო გარდაიქმნა ანალიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტად, რასაც მოჰყვა დეპარტამენტის საქმიანობის ორგანიზაციული ცვლილებები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ საზოგადოებრივი ადვოკატების ხელშეწყობაა საერთაშორისო დონეზე საქმეების წარმოებაში. აღნიშნული ცვლილების შედეგად სამსახურმა 2024 წელს უკვე გააორმაგა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი საქმეების რაოდენობა და მიმდინარე წლის განმავლობაში ჯამში რვა საქმე გააგზავნა. გაგზავნილი საქმეებიდან სამი უკვე მიიღო სასამართლომ წარმოებაში და სამსახური ელოდება შემდეგ კომუნიცირებას იუსტიციის სამინისტროსგან.

მომზადებული საქმეებიდან შვიდი საქმე გაიგზავნა თბილისიდან, ხოლო ერთი საქმე ქუთაისის ბიუროს ადვოკატის ესმა ნორაკიას მიერ.

გაგზავნილი საქმეების უმეტესობა მოიცავდა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლებას შეეხება. ასევე, მე-13 მუხლს ეფექტური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სუბსიდიურ ნორმას და აუცილებელია მასთან ერთად დგინდებოდეს კონვენციის სხვა მუხლის დარღვევა. ასევე, სააქმეები მოიცავდა მე-8 მუხლს - პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებასა და მე-14 მუხლს - დისკრიმინაციის აკრძალვას.

### 8.1.5. მემორანდუმები

- 2024 წლის 6 თებერვალს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და ააიპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი

მოაწერეს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ და საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორმა მარინე იოსელიანმა. შეთანხმების მიხედვით, ორივე უწყება ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლის მიმართულებით მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტებს ხარისხიანი იურიდიული განათლების მიღებას და თვითრეალიზებას, პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ახალგაზრდების სამართლებრივი მართლშეგნების დონის ამაღლებას, მათთვის საზოგადოებრივი ადვოკატების გამოცდილების გაზიარებას, პრაქტიკული სასწავლო კურსის გავლას იურიდიული დახმარების სამსახურში.

- 2024 წლის 31 ოქტომბერს იურიდიული დახმარების სამსახურსა და საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტს (GIU) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში ჯიუს სამართლის პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ პრაქტიკა გაევლოთ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებთან. შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო პანელურ დისკუსიას თემაზე - "იურისტის პროფესიული განვითარება". სამსახურის დირექტორმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა პრაქტიკული გამოცდილება საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებით.

### 8.1.6. სხვა აქტივობები

- 2024 წლის 4 მარტს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ცხელ ხაზზე შევიდა შეტყობინება, რის საფუძველზეც ბენეფიციარს გაეწია იურიდიული კონსულტაცია. ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს შეფასების შედეგად, აღნიშნული საქმე გადაეცა ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს. აღნიშნული დეპარტამენტის წარმომადგენელი დაუკავშირდა ბენეფიციარს, რათა გამოერკვია საქმესთან დაკავშირებული დეტალები. ბენეფიციართან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შრომითი ურთიერთობის უხეში დარღვევის ფაქტები. აღნიშნული დაუყოვნებლივ ეცნობა შრომის ინსპექციის სამსახურს. ამავე წლის 13 მარტს სამსახურის წარმომადგენლები შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ეწვივნენ ბენეფიციარს კახეთში. ადგილზე მისვლისას აშკარა იყო შრომითი

უფლებების უხეში დარღვევის ფაქტი. შემთხვევის შედეგად ადგილზე შედგა ოქმი და საქმე გადაიგზავნა ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციაში.

- 2024 წლის 30 მარტს, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (სეუ), იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თემის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო სამსახურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა და წარდგენა შშმ პირთა თემისთვის. შეხვედრა გახსნა დირექტორის მოადგილე მიხეილ ხურციძემ, სამსახურის მანდატზე და საქმიანობაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასახმარებლად ისაუბრა ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაია ნოზაძემ, სამოქმედო გეგმაზე და სამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებზე ისაუბრა სამსახურის იურისტ-ანალიტიკოსმა თამრიკო ნაჭყებიამ. დამსწრე პირებს ასევე, გაეცნოთ ინფორმაცია სამსახურში განხორციელებულ ცვლილებებზე და თანამშრომლობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. შეხვედრას დაესწრნენ შემდეგი ორგანიზაციები: გუშაგი; საქართველოს ყრუთა კავშირი; შშმ პირთა და მშობელთა კოალიცია “მოძრაობა ცვლილებებისთვის”. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საჭიროებებზე შშმ პირებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის და გამოკვეთეს რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის სათანადო აღსრულებისთვის. შეხვედრის დასასრულს დაიგეგმა სამომავლო აქტიური თანამშრომლობა ორგანიზაციებს შორის.
- 2024 წლის 4 ოქტომბერს, სამსახურის ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ იუსტიციის სამინისტროსთვის მომზადდა პასუხი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს მიერ კომუნიცირებულ 2 საქმეზე აღნიშნული გადაწყვეტილებების შესაბამისად, მომჩივანთა მიმართ დადგინდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის

უფლება) დარღვევა, რადგან, სხვა გარემოებებთან ერთად, მათ არ ჰქონდათ შესაბამისი ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის შესახებ. სამსახურმა მისი პასუხისმგებლობის ნაწილში მოამზადა კომუნიცირების დოკუმენტი ინგლისურად და ქართულად. ასევე, მომზადებულ დოკუმენტს თან დაერთო იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება, რომელშიც გაერთიანებულია მომსახურების პირობებისა და კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარი. აღნიშნული დოკუმენტები წარმოაჩენს სამსახურის მიერ დაცულ მაღალ სტანდარტს კლიენტთა ინფორმირებულობაზე.

- იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 2024 წლის 29 ოქტომბრის ბრძანების ნომრით LA 2 24 00036538 „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატების მიერ გაწეული მომსახურებისა და საქმიანობის შესწავლის შესახებ" განისაზღვრა თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებზე მომუშავე ადვოკატების საქმეების შესწავლა და შეფასება. ამავე ბრძანების თანახმად შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად განისაზღვრა ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა, რომლის განხორციელება დაევალა ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს. დეპარტამენტის სპეციალისტებმა ადვოკატების მიერ გადმოგზავნილი საქმეებიდან, ასევე, ქეისბანკის მონაცემებიდან მოიძიეს ინფორმაცია ბენეფიციარების საკონტაქტო ნომრების და მათთან სასაუბრო ენის შესახებ. სამსახურმა ბენეფიციარებთან ინტერვიუსთვის ისარგებლა ფრანგულის, თურქულის, სპარსულის და ურდუს ენის თარჯიმნების მომსახურებით, რომელთა მეშვეობითაც ჩატარდა კმაყოფილების კვლევა წინასწარ შემუშავებული კითხვებისა და ფორმის დაცვით. მიღებული შედეგები

გადაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სპეციალიზებულ საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველოს.

- 2024 წლის 4-6 ოქტომბერს, ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ჩატარებულ ტრენინგს თემაზე-საერთაშორისო სამართალწარმოება''.. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - ბესო ბოხაშვილი.
- 2024 წლის 27-აპრილს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში „მაკ ჯორჯიას და ზუგდიდის დამოუკიდებელი ცენტრის ორგანიზებით გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონნე პირთა მხარდამჭერი მომსახურების ინტერაქციული გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდნენ შშმ პირები და მათი ოჯახის წევრები, შშმ პირთა მომსახურების გამწევი ორგანიზაციები და სპეციალისტები, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოება.

## IX. იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობა

2024 წელს გამართულ იურიდიული დახმარების საბჭოს სხდომებზე არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

2024 წელს, იურიდიული დახმარების საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- 2024 წლის 17 იანვრის N126 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისთვის გამოყოფილი თანხის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ;
- 2024 წლის 18 მარტის 127 გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმებში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ;

- 2024 წლის 14 მაისის N8 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
- 2024 წლის 22 აგვისტოს N130 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენაზე თანხმობის გაცემის შესახებ;
- 2024 წლის 22 აგვისტოს N131 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ;
- 2024 წლის 27 ნოემბრის N132 გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N120 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესსა და კრიტერიუმებში ცვლილების შეტანის შესახებ;
- 2024 წლის 26 დეკემბრის N133 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისთვის გამოყოფილი თანხის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ;
- **20 თებერვალს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა და ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისის წარმომადგენელი. შეხვედრა ჩატარდა პროექტის ფარგლებში - „იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების გაუმჯობესება ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლებისათვის საქართველოში", რომელსაც იურიდიული დახმარების სამსახური ახორციელებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR)

მხარდაჭერით.



- **29 თებერვალს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია და მისი პირველი მოადგილე ნინო მელაძე მონაწილეობდნენ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებული კონფერენციაში სახელწოდებით: "გავხადოთ მართლმსაჯულება ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი". ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების, მთავრობის, სასამართლოს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა მიმოიხილეს საქართველოში არსებული სამართლის უზენაესობის ტენდენციები, მიღწევები და ინსტიტუციების გაძლიერების საუკეთესო პრაქტიკა. ღონისძიებას დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რობინ ლ. დანიგანი, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვალვაც მხარს დაუჭერს საქართველოში მიმდინარე რეფორმებს და დაეხმარება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროს გაძლიერებას.






## X. სამსახურის ადმინისტრაციული საქმიანობა

2024 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დოკუმენტბრუნვა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

*სულ - 22027 დოკუმენტი*

*მათ შორის:*

შიდა დოკუმენტი - 10729

შემოსული - 5714

გასული - 1605

ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები:

**3978** ბრძანება, 1 - გადაწყვეტილება

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტსა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს შორის 2018 წლის 27 სექტემბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2024 წელს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტიდან შემოსულ მომართვების საფუძველზე - 163 მოქალაქის/ბრალდებულის/მსჯავრდადებულის განცხადებებზე მოხდა რეაგირება.

საქართველოს პარლამენტიდან შემოვიდა 200 წერილი

სახალხო დამცველის აპარატის მომართვები

*37 - წერილი*

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მომართვები

*33 - წერილი*

*საჯარო ინფორმაცია*

- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა რაოდენობა - **7**

- გაცემული ინფორმაცია - **7**

- **საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი პირები:**

➢ მოქალაქე  - 3 წერილი;

➢ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება - 1 წერილი;

➢ სსიპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - 2 წერილი;

➢ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი -1 წერილი.

<u>მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის თემა:</u>

➢ **მოქალაქეთა განცხადებები (3 წერილი):**

- სტატისტიკური ინფორმაცია;

➢ **საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება**

- სტატისტიკური ინფორმაცია;

➢ **სსიპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**

- სტატისტიკური  ინფორმაცია.
- იურიდიული დახმარების სამსახურის რამდენ იურისტს აქვს სპეციალიზაცია გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებით და როგორია მათი განაწილება რეგიონების მიხედვით.
- რა ღონისძიებები განხორციელდა გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებით სამსახურის იურისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და რამდენმა იურისტმა მიიღო აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

➢ **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი**

- სტატისტიკური ინფორმაცია

**არქივის საქმიანობა:**

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციაში არსებული 2014-2019 წლების დოკუმენტების და ასევე სამსახურის ბიუროებში არსებული 2009-2018 წლების დასრულებული საქმეების საარქივო დამუშავება. კერძოდ, განხორციელდა აქტის შედგენა იმ საქმეების განადგურების შესახებ, რომელთაც გაუვიდათ შენახვის ვადა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ნომენკლატურის შესაბამისად - სულ 22 000- მდე საქმე.

ასევე განხორციელდა სამსახურის ადმინისტრაციაში არსებული დოკუმენტების ექსპერტიზა, როგორც ფურცლობრივი, ასევე არაფურცლობრივი გადათვალიერებით, მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი საქმეების ფორმირება, მათი დანომვრა და ნაწილობრივ შეკერვა, ასევე სამსახურის ყოფილი თანამშრომლების პირადი საქმეების სისტემატიზაცია და დანომვრა, შესაკერად მომზადება. დროებით შესანახი საქმეების შენაკრავებად ფორმირება და სამსახურის არქივის ფართში განთავსება.

## XI. სამსახურის ფინანსური ანგარიში

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურის დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) შემოწირულებები და გრანტები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

იურიდიული დახმარების სამსახურის **სახელმწიფო ბიუჯეტი 2024** წელს შეადგენდა სულ **12, 500, 000.00 ლარს.**

იურიდიული დახმარების სამსახურის ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს სულ **12,388,936.42 ლარს**

შრომის ანაზღაურება - 6,995,809.21 (ლარი);

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 3,711,019.63 (ლარი);

მივლინების ხარჯები - 119,334.55 (ლარი);

ოფისის ხარჯები - 469,766.51 (ლარი);

წარმომადგენლობითი ხარჯი - 22,644.50 (ლარი);

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 300.30 (ლარი);

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - 483,945.85 (ლარი);

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 302,505.75 (ლარი);

სოციალური უზრუნველყოფა - 143,151.73 (ლარი);

მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 35,064.39 (ლარი);

არაფინანსური აქტივების ზრდა - 105,394.00 (ლარი).

**ბიუჯეტი შესრულდა 99%-ით.**

**11.1. 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვები**

2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შეადგენს 1 467 280 ლარს. სულ გაფორმდა 105 ხელშეკრულება - ჯამში 1 214 209.62 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 73 ხელშეკრულება და 1 ინტერნეტის გამოწერის გზით (ხელშეკრულების გარეშე) - თანხით 452 212.62 ლარი,

ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 10 ხელშეკრულება თანხით 366 622.00 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 22 ხელშეკრულება თანხით 395 375.00 ლარი.

შესყიდვების გეგმა შესრულდა 83%-ით.

## 11.2. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ანაზღაურება

2024 წელს, განხორციელდა რეესტრის ადვოკატების მიერ ნაწარმოები 1,110 საქმის შეფასება, მათ მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე, კერძოდ:

ახალციხე - 73 საქმე - 6936 ლარი

ბათუმი - 68 საქმე - 6359 ლარი

გორი 51 საქმე – 4245 ლარი

ზესტაფონი - 33 საქმე - 4883 ლარი

ზუგდიდი - 17 საქმე - 1265 ლარი

თბილისი - 371 საქმე - 46726 ლარი

თელავი - 135 საქმე - 12587 ლარი

მცხეთა - 27 საქმე - 2203 ლარი

ოზურგეთი - 20 საქმე - 1533 ლარი

რუსთავი 173 საქმე – 17201 ლარი

სიღნაღი - 28 საქმე - 2192 ლარი

ქუთაისი 114 საქმე – 6740 ლარი

საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების ნაწარმოებ საქმეებში სამსახურმა სულ გადაიხადა - 112,870 ლარი.

## XII. იურიდიული დეპარტამენტის საქმიანობა

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტი აწარმოებს სასამართლოში მიმდინარე დავებს, განიხილავს დისციპლინურ საქმეებს, ახორციელებს წინასწარი მოკვლევებს.

2024 წლის გამავლობაში იურიდიული დეპარტამენტის საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

11.1. სასამართლოში მიმდინარე დავები

1. **მოსარჩელე:** ვ. გ.; გ. შ.; ი. ნ. და სხვები; **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; **დავის საგანი:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ (დისციპლინური წარმოების ნაწილი) სამსახურის დირექტორის 2020 წლის 7 სექტემბრის LA 3 20 00000965 ბრძანების ბათილად ცნობა;

**საქმის სტატუსი:** თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა, დავა მიმდინარეობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2. **მოსარჩელე:** ვ. გ. **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; **დავის საგანი:** დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, სახელფასო დანამატის და დაკავებული სარგოს ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

**საქმის სტატუსი:** თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა, თუმცა საჩივარი არ დაკმაყოფილდა. დავა მიმდინარეობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

3. **მოსარჩელე:** ვ. გ. **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; **დავის საგანი:** მოპასუხის მიერ ჯილდოს გაცემა /მოპასუხეზე გასაცემი ჯილდოს დაკისრება.

**საქმის სტატუსი:** აღნიშნულ საქმეზე მოპასუხის მიერ წარდგენილია კვალიფიციური შესაგებელი. დავა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

4. **მოსარჩელე:** ვ. გ. **მოპასუხე:** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური; **მესამე პირი:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; **დავის საგანი:** სახელმწიფო

ინსპექტორის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის კანონდამრღვევად ცნობა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერად დამუშავების ნაწილში.

**საქმის სტატუსი:** აღნიშნული საქმე ჩაბრუნდა ადმინისტრაციულ ორგანოში განსახილველად. დავა მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

5. **მოსარჩელე:** მ. შ.; **მოპასუხეები:** საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური. დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

**საქმის სტატუსი:** თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა 10 000 ლარის ანაზღაურება, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს დაეკისრათ 10 000 ლარის ანაზღაურება სოლიდარულად. დავა მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

6. **მოსარჩელე:** ვ. გ.; **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური. დავის საგანი: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 2023 წლის 18 ივლისის LA 4 23 00002196 (სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ) ბრძანების ბათილად ცნობა, ადვოკატის თანამდებობაზე აღდგენა, კომპენსაციის დაკისრება და განაცდურის ანაზღაურება.

**საქმის სტატუსი:** თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ვ.გ.-მ სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. დავა მიმდინარეა.

7. **მოსარჩელე:** ი.ი., ნ.მ., დ.ფ., და ს.გ. **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური. დავის საგანი: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის #120 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

**საქმის სტატუსი:** დავა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

## 11.2. დისციპლინური საქმეები, წინასწარი მოკვლევები

